

ჩანს ფიქრობს
საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების
შესახებ



კვლევის ავტორები: ნინო დურგლიშვილი
ივანე კეჭყაძე

მადლობა: იაგო კაჭკაჭიშვილი, ლაშა ნაკაშიძე, ეკატერინე ხვედელიძე, მიხეილ ქურდაძე, მაია ცხვარაძე, მარინა შვანგირაძე, სოფიკო ახოზაძე, კახა ბახტაძე, თამარ ალადაშვილი, ეკატერინე ბენდელიანი, ნინო თხილავა, გელა კვაშილავა, დარეჯან კაპანაძე, ქეთევან სალუქვაძე, მარიამ კვარაცხელია, მარიტა არაბიძე, გიორგი აბულაშვილი, ნატა თხილავა, მურმან მარგველაშვილი, იოიუნგ კიმი

სარჩევი

ანოტაცია		
1.	ძირითადი ცნებები	5
2.	მთავარი მიგნებები	6
3.	ზოგადი რეკომენდაციები	7
4.	ძირითადი შედეგები	8
5.	კვლევის შედეგები	12

5.1	ინფორმირებულობა კლიმატის ცვლილების შესახებ	
5.1.1	ტერმინის ცნობადობა	16
5.1.2	დამოკიდებულება კლიმატის ცვლილებაზე ინფორმირებულობის მიმართ	19
5.1.3	ძირითადი საინფორმაციო წყაროები კლიმატის ცვლილების შესახებ	24
5.1.4	კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღების სიხშირე	27
5.1.5	კლიმატის ცვლილებაზე ბოლო დროს მიღებული ინფორმაცია	34

5.2	კლიმატის ცვლილება, როგორც გამოწვევა	
5.2.1	კლიმატის ცვლილების გაცნობიერების ხარისხი და გლობალური დონე	42
5.2.2	ლოკალური დონე - განაწილება რეგიონის ნიშნით	48
5.2.3	კლიმატის ცვლილება, როგორც გამოწვევა საქართველოს რეგიონების წინაშე	55
5.2.4	დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის მექანიზმები	61

5.3	სოციალური ქცევის ანალიზი კლიმატის ცვლილების მიმართ	
5.3.1	სოციალური ქცევა კლიმატის ცვლილების მიმართ	76
5.3.2	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქცევის მოტივაცია	88
5.4	ზოგადი ინფორმაცია	97
6.	შერჩევა	101
7.	დანართი	105

ანოტაცია

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ცოდნისა და ქცევის გამოსაკვლევად, რაოდენობრივი გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონისა. კვლევამ თითოეული რეგიონის შიგნით მოიცვა როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის დასახლებები.

ინტერვიუების დროს გამოყენებული კითხვარი თან ერთვის დოკუმენტს დანართის სახით.

გენერალური ერთობლიობა/საკვლევი პოპულაცია:

საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობა

შერჩევის მოცულობა:



1 100

რესპონდენტი

შერჩევის ტიპი:

სტრატეგიული-კლასტერული

კვლევის ცდომილება:



3%

95%-იანი სანდოობით

საველე სამუშაოების პერიოდი:



20.08 ↔ 10.09
2020 წ.

ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა:



45 წთ

1 ძირითადი ცნებები

გამოყენებულია განმარტებები, რომლებიც განისაზღვრა „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი“ (2016)

გამოვლენა (ექსპოზიცია, Exposure):

- კლიმატის ძლიერი ცვალებადობის სისტემაზე გამოვლენის ბუნება და ხარისხი. ახასიათებს კლიმატის იმპარამეტრების ცვლილებას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე.

მგრძობიარობა (სენსიტიურობა, Sensitivity):

- სისტემის მგრძობიარობის ხარისხი, უარყოფითი ან დადებითი სახის, კლიმატთან დაკავშირებული ზემოქმედების მიმართ.

ზემოქმედება (იმპაქტი, Impact):

- კლიმატის ცვლილების ბუნებრივ და ადამიანურ სისტემებზე ზემოქმედების შედეგები. ადაპტაციის საკითხის განხილვისას შესაძლებელია განვასხვაოთ პოტენციური და ნარჩენი (მეორადი) ზემოქმედება. პოტენციური ზემოქმედება განისაზღვრება სისტემაზე კლიმატის ცვლილების გამოვლენის და მის მიმართ მგრძობიარობის ურთიერთქმედებით.

ადაპტაციის უნარი/შესაძლებლობა (შეგუების უნარი, Adaptivity/ Adaptive capacity):

- ბუნებრივი ან სოციალური სისტემების შესაძლებლობა, მოახდინონ ადაპტირება კლიმატის ცვლილების (მათ შორის კლიმატის ცვალებადობის და ექსტრემუმების) მიმართ, მოახდინონ პოტენციური ზიანის შემცირება, სათანადოდ ისარგებლონ სხვადასხვა შესაძლებლობით და დაძლიონ ზემოქმედებით გამოწვეული შედეგები.

მოწყვლადობა (ვულნერაბელობა, Vulnerability):

- კლიმატის ცვლილების მიმართ სისტემის მგრძობიარობის ან მის უარყოფით გავლენასთან შეუგუებლობის ხარისხი, მათ შორის კლიმატის ცვალებადობასა და ექსტრემუმებთან მიმართებაში. მოწყვლადობა წარმოადგენს კლიმატის ცვალებადობის ხასიათის, მასშტაბის და სიხშირის ფუნქციას, რომლის ზეგავლენას განიცდის სისტემა, მისი მგრძობიარობა და ადაპტაციის შესაძლებლობა.

შერბილება (მიტიგაცია, Mitigation):

- კლიმატის ცვლილების შერბილება გულისხმობს ადამიანის ყველა სახის მცდელობებს, შეარბილოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედებები.

(2016) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი, თბილისი, ხელმისაწვდომია მისამართზე: http://nala.ge/climatechange/uploads/RoadMap/RoadMap_Geo.pdf

2 მთავარი მიზნები

- საკვლევი პოპულაციის დამოკიდებულება კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების/ზემოქმედების მიმართ ძირითადად შეიძლება შეფასდეს, როგორც **ინფორმირებული, კარგად გაცნობიერებული, კორექტული, რაციონალური და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული.**

შენიშვნა:

პასუხების ნაწილი პიროვნულ დონეზე არაგულწრფელიც რომ იყოს, ეს შედეგი, სულ მცირე, იმას მიანიშნებს, რომ კლიმატის ცვლილების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა აღიქმება სოციალურად სასურველ და აღიარებულ ფენომენად და შეგვიძლია, ერთ-ერთ მნიშვნელოვან დირექტულებით ორიენტაციად მივიჩნიოთ.

- კლიმატის ცვლილების აღქმა და მასზე რეაგირება ხორციელდება ოთხი ზოგადი/ძირითადი ფაქტორის ქრილში:

<p>1 სოციალური პასუხისმგებლობა</p>	<p>2 პრიორიტეტიზაცია</p>
<p>3 პრობლემის მართვა</p>	<p>4 პერსონალური წვლილი</p>

- ქალები უფრო დაუცველად გრძნობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე, ვიდრე კაცები;
- 65 წლის ან მეტი ასაკის წარმომადგენლები უფრო დაუცველად გრძნობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე, ვიდრე შედარებით ახალგაზრდები.

03 ზოგადი რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი აქტივობების მიზანშეწონილობა:

- იმ საკითხების ფოკუსირებული და სიღრმისეული შესწავლა, რომლებიც წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან შედეგებად გამოიკვეთა, მაგრამ მათი ახსნისთვის საჭიროა უფრო მრავალფეროვანი ან/და დეტალური ინფორმაცია;
- რელევანტური საინფორმაციო პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარება; აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის გაძლიერება ამ მიმართულებით (ინფორმირებულობისა და გაცნობიერების თითქმის ყველა ცვლადი უკავშირდება განათლებას);
- იმ ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების

დადგენა, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებასა და მის შედეგებთან დაკავშირებულ ქვევებზე (შესაბამისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესამუშავებლად);

- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა (ამის კარგი წინაპირობაა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მაღალი ხარისხის სოციალური პასუხისმგებლობა);
- სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და შესაბამისი აქტივობებისას, განსაკუთრებული კონცენტრირება იმ სოციალურ ჯგუფებზე, რომლებიც უფრო დაუცველად გრძნობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მის შედეგების წინაშე. ამ თვალსაზრისით, იკვეთება აღნიშნული ჯგუფების შემდგომი დეტალური და სიღრმისეული კვლევის აქტუალურობაც, **ზემოქმედების, სენსიტიურობის, ადაპტაციისა და მოწყვლადობის ქრილში.**

04 ძირითადი შედეგები

- „კლიმატის ცვლილება“ შეიძლება საყოველთაოდ ცნობილ ტერმინად ჩაითვალოს საკვლევ პოპულაციაში. მის ცნობადობას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან, ასაკსა და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასებასთან. სხვა ჯგუფებთან შედარებით, ცნობადობის დაბალი ხარისხით ხასიათდება 65 წლის ან მეტი ასაკის ჯგუფი; 18-24 და 45-54 წლის ასაკობრივი ჯგუფები, ამ მხრივ, 100%-იანი მაჩვენებლებით არიან წარმოდგენილნი.
- კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის/ცოდნის მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც შეიძლება ამ საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერების ერთ-ერთი არსებით ინდიკატორად განვიხილოთ.
- იმ ძირითად წყაროებს შორის, რომელთა მეშვეობითაც ვიღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილებაზე, ეროვნული სატელევიზიო არხები გამოკვეთილად ლიდერობენ. მაღალი სიხშირით გამოირჩევა სოციალური ქსელები და მოკლე „ნიუსებზე“ ორიენტირებული ინტერნეტწყაროებიც. არაფორმალური წყაროები (ოჯახის წევრები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები) ბევრად ნაკლებად გვხვდება. ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ კლიმატის ცვლილება იშვიათად არის არაფორმალური, „ყოველდღიური“ საუბრის თემა ოჯახის წევრებს, მეზობლებსა თუ ნაცნობ-მეგობრებს შორის. მსგავსი შედეგი, ერთი მხრივ, გვიჩვენებს, რომ „კლიმატის ცვლილების“, როგორც ტერმინის გაგება, არ იგივდება მარტივ, ყოველდღიურ თემებთან, როგორცაა ამინდი (თუმცა კი ეს საკითხი არაფორმალური საუბრების ერთ-ერთი

ყველაზე ხშირი თემა); მეორე მხრივ, ვინაიდან კლიმატის ცვლილება აქტუალურ საკითხად მიიჩნევა, სასურველი იქნებოდა მისი შემდგომი სიღრმისეული კვლევა.

- ფორმალური წყაროები, საიდანაც შესაძლებელია უფრო მრავალფეროვანი, დეტალური, სიღრმისეული ან გლობალური ინფორმაციის მიღება, უმნიშვნელო სიხშირით სახელდება. მათ შორის აღსანიშნავია „საჯარო საინფორმაციო შეხვედრები“, „საგანმანათლებლო დაწესებულებები/სასწავლო კურსები;“ ასევე, სამინისტროების, უნივერსიტეტებისა და სხვა უწყებების ინტერნეტგვერდები/გამოცემები. ყოველივე ეს წამოჭრის ამ ინსტიტუტების შემდგომი კვლევისა და გააქტიურების საკითხს.
- კლიმატის შესახებ საინფორმაციო წყაროების სიმწირეს თავად რესპონდენტებიც აღნიშნავენ: რეალურ და სასურველ საინფორმაციო წყაროებს შორის აშკარა განსხვავება იკვეთება და სახელდება საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც უფრო სრულყოფილ და ამომწურავ ინფორმაციას/ცოდნას აწვდიან ამ საკითხზე.
- კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღება ძალიან მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა: გამოკითხულთა 85.4% აღნიშნავს, რომ ამ თემას კვირაში ან თვეში რამდენჯერმე ეცნობა.
- კლიმატზე ინფორმაციის მიღებას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გენდერთან არ აქვს, მაგრამ ამ კუთხით განსხვავება ვლინდება „დიასახლისის“ კონტექსტში, რაც ქალისთვის დამახასიათებელ ასპექტად მიიჩნევა. ეს შედეგი მეტყველებს, რომ მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული საკითხის სიღრმისეული კვლევა გენდერულ ჭრილში.
- უკვე აღინიშნა, რომ კლიმატის ცვლილებაზე ცნობადობა მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ამ კუთხით ინფორმაციის/

ცოდნის მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მისი სიხშირეც საკმაოდ მაღალია, თუმცა კვლევის შედეგად იკვეთება ბოლოდროინდელი ინფორმაციის ზედაპირულობა, ფრაგმენტულობა და თემატური სიმწირე: კერძოდ, ეს ცნობები, უმთავრესად, ფაქტობრივია და უკავშირდება ეროვნული ან ქვეყნის შიდა რეგიონული მასშტაბის სტიქიურ მოვლენებს. ყველაზე მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა წყალდიდობები.

- უკიდურესად დაბალია მაჩვენებელი შემდეგი მიმართულებებით: საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან სტრატეგიული ინფორმაცია; კლიმატის ცვლილებაზე კონკრეტული დოკუმენტის ან ანგარიშის გაცნობა; ინფორმირებულობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გლობალურ ვალდებულებებსა თუ ეროვნულ პრიორიტეტებზე.
- რელევანტურად მიჩნეულ დოკუმენტებს/ანგარიშებს შორის შედარებით ხშირად სახელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მასალები.
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გლობალური ვალდებულებებისა და ეროვნული პრიორიტეტების ამსახველ დოკუმენტთა ცნობადობა, ფაქტობრივად, ნულს უახლოვდება; და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხი და მისი მნიშვნელობა საკვლევი პოპულაციისათვის უცნობი ან გაუცნობიერებელი თემა ნამდვილად არ არის. ამასთანავე, გამოიხატა ინფორმაციის უფრო რელევანტური წყაროებით მიღების სურვილი, რაც მიუთითებს, რომ აშკარად საჭიროა შესაბამისი საინფორმაციო კამპანიისა და საინფორმაციო წყაროების ეფექტიანობის ამაღლება.
- კლიმატის ცვლილებას, როგორც გლობალურ გამოწვევას, საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ასეთი გამოწვევების რანჟირებას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან: „საერთაშორისო ტერორიზმი“ და „ბირთვული იარაღის გავრცელება“ კაცებისთვის უფრო აქტუალური საკითხებია, ხოლო „სიღარიბეს, საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობასა და ინფექციურ დაავადებებს“ ქალები მეტ პრიორიტეტს ანიჭებენ. ამ კონტექსტში

კლიმატის ცვლილების მიმართ მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

- კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა ქვეყნის მასშტაბითაც: საშუალო მაჩვენებელია 4.21 ქულა, 5-ქულიან სკალაზე (1=min & 5=max). რეგიონის მასშტაბით ზოგადი მაჩვენებელი უფრო მცირეა, ამ მხრივაც (3.71 ქულა) და კონკრეტული საკითხების შეფასებებშიც.

ფაქტი, რომ საკუთარი რეგიონის ფარგლებში ნაკლებ-აქტუალური საკითხი ქვეყნის ან/და გლობალური მასშტაბით მათალაქტუალურად ფასდება, შეიძლება მივიჩნიოთ არგუმენტად, რომ საკვლევი პოპულაცია აცნობიერებს კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების მნიშვნელობას და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხების მიმართ.

- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხთა/მოვლენათა მაჩვენებლებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქვს სქესთან: ქალები უფრო სენსიტიურები არიან ყოველდღიური და ლოკალური მნიშვნელობის მქონე მოვლენების მიმართ, რომლებიც უშუალოდ და ინტენსიურად უკავშირდება გარემოს/ყოველდღიური ცხოვრების წესს, ხოლო კაცები უფრო არსებითად მიიჩნევენ ზოგად და ფართომასშტაბიან მოვლენებს. ეს განსხვავებები მცირეა; შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ საკითხების შემდგომი, უფრო სიღრმისეული და ევრისტიკული კვლევა, გენდერის ექსპერტთა ჩართულობით.
- საკვლევ პოპულაციას, ძირითადად, კარგად აქვს გაცნობიერებული კლიმატის ცვლილების ზოგადი არსი და ამ ტერმინთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები:

პასუხები უმთავრესად ადეკვატურად და ამომწურავად ასახავს როგორც ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს, ისე სხვადასხვა კონკრეტულ გამოვლენასა და მათ აქტუალურობას რეგიონების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ორი ხარვეზი:

1. არარელევანტური შედეგები გამოვლინდა თბილისთან მიმართებით;
2. რეალურ სიტუაციასთან შედარებით, მცირე სიხშირით აღინიშნა ინვაზიური სახეობები.

ორივე შედეგს აქვს სავარაუდო ახსნა, რაც წარმოდგენილია ტექსტის ძირითად ნაწილში, თუმცა მიზანშეწონილია ამ საკითხების უფრო სიღრმისეული კვლევა.

- საქართველოს ყველაზე დაუცველ რეგიონებად დასახელდა კახეთი, იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, აჭარა და სამეგრელო/ზემო სვანეთი.
- ქალები (კაცებთან შედარებით) მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კლიმატის ცვლილების გავლენას შემდეგ სფეროებზე: სიღარიბის ზრდა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება; სხვადასხვა ტიპის ინფექციებისა თუ ვირუსული დაავადებების (მათ შორის, COVID-19-ის) წარმოშობა/გავრცელება; გულის დაავადებების, ინსულტისა და კიბოს განვითარების შემთხვევათა მატება; სიკვდილიანობის ზრდა.
- ტყეების გაჩეხვა და ველური ცხოველების ან მათი სახეობების შემცირება კაცების პასუხებში მეტი პროპორციით არის წარმოდგენილი, ხოლო მცენარეთა სახეობების ან რაოდენობის შემცირებასა და წყლის ხარისხის გაუარესებას ქალები უფრო ხშირად ასახელებენ.
- კლიმატის ცვლილება აღიქმება არასოციალურ მითად, რომელსაც მხარს უჭერენ გარკვეული ინტერესების მქონე ჯგუფები (მაგ.: პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ მათთან ასოცირებული მკვლევრები), არამედ რეალურ პროცესად, რომელიც საფრთხეს უქმნის დედამიწაზე ცხოვრებას; და

ეს მხოლოდ მომავალს არ უკავშირდება: კაცობრიობა უკვე დგას საფრთხის წინაშე, რომელიც აქტუალურია ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც.

- ოპტიმისტური ან ნაკლებიმედიაანი დამოკიდებულებები კლიმატის ცვლილების ზემოქმედების, ადაპტაციისა და შერბილების მიმართ, დაახლოებით, თანაბარი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი.

ქალები, ასევე, 65 წლის ან უფრო მაღალი ასაკის წარმომადგენლები, უფრო დაუცველად გრძობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე. ეს მიუთითებს, რომ მიზანშეწონილია მსგავსი ჯგუფების უფრო ფოკუსირებული და სიდრმისეული კვლევა, სენსიტიურობის, მოწყვლადობისა და ადაპტაციის ჭრილში.

- უმრავლესობას მიაჩნია, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების მართვას გარემოსდაცვითი და საერთაშორისო ორგანიზაციები შეძლებენ. სახელისუფლებო, განსაკუთრებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ბიზნესორგანიზაციები ამ კუთხით ძალიან დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან.
- კლიმატის ცვლილების მიმართ ინფორმირებული დამოკიდებულებისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ქვეყანაში, სადაც სიღარიბე და უმუშევრობა პირველი რიგის პრობლემებია, კლიმატის ცვლილებისა და ეკონომიკის/დასაქმების/მატერიალური კეთილდღეობის პრობლემათა ურთიერთდაპირისპირებისას, უპირატესობა, ძირითადად, კლიმატის ცვლილებას ენიჭება. კლიმატის ცვლილებისა და მისი გამოვლენების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა აღიქმება სოციალურად აღიარებულ/სასურველ ფენომენად

და შეგვიძლია, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებით ორიენტაციად მივიჩნიოთ.

კლიმატის ცვლილების აღქმა და მასზე რეაგირება წარმართება ოთხი ძირითადი ფაქტორის ჭრილში: „სოციალური პასუხისმგებლობა“, „პრიორიტეტულობა“, „პრობლემის მართვა“ და „პერსონალური წვლილი“.

- კლიმატის ცვლილების შესაბამისი სოციალური ქცევები, ინფორმირებულობისა და გაცნობიერების ხარისხისაგან განსხვავებით, საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა, თუმცა მაღალია მზაობა გარკვეული ქცევების მიმართ (მაგ.: ენერგოეფექტური საშუალებების გამოყენება).
- კვლევის კონკრეტული შედეგებიდან გამომდინარე, ახსნა მნიშვნელოვანწილად სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებში უნდა ვეძებოთ (კვლევის შედეგების მიხედვით, კონკრეტული ქცევების დაბალი სიხშირე უფრო მეტად ინფრასტრუქტურულ ან/და ფინანსურ ხელმისაწვდომობას უკავშირდება). ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისეთ ქმედებათა მაღალი მაჩვენებლებიც, რომლებიც არ უკავშირდება დანახარჯებს (ან მნიშვნელოვან დანახარჯებს).
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქცევების გარკვეული ნაწილი უკავშირდება სქესსა და ასაკს.

05 კვლევის შედეგები

5.1



ინფორმირებულობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

5.2



კლიმატის ცვლილება,
როგორც გამოწვევა

5.3




სოციალური ქსევის ანალიზი
კლიმატის ცვლილების მიმართ

ინფორმირებულობა

კლიმატის

ცვლილების შესახებ


5.1 | ინფორმირებულობა კლიმატის
ცვლილების შესახებ



5.1

ინფორმირებულობა
კლიმატის სვლიდან მანათობა







5.1.1

თერმინის ცნობა

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ


რატომდენობრივი კვლევა

#EU4Climate

ტერმინის ცნობადობა

„კლიმატის ცვლილება“ შეიძლება საყოველთაოდ ცნობილ ტერმინად მივიჩნიოთ საკვლევ პოპულაციაში: რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (97.6%) პასუხობს, რომ სმენია მის შესახებ:

გსმენიათ თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ?



„კლიმატის ცვლილების“ ცნობადობას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან, ასაკსა და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასებასთან.



სახელდობრ, ამ ტერმინის ცნობადობის ხარისხი:

- კაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში (Asymptotic Significance (2-sided) = 0.005).

გსმენიათ თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ?

	ქალი	კაცი	ოჯახი
მსმენია	96.3%	99.2%	97.6%
არ მსმენია	3.4%	0.8%	2.2%
პასუხი არ მაქვს	0.3%		0.2%
ჯამი	100.0%	100.0%	100.0%

ტერმინის ცნობადობა



გსმენიათ თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ?

- ცნობადობის შედარებით დაბალი ხარისხით ხასიათდება 65 ან მეტი წლის ასაკობრივი ჯგუფი; 18-24 და 45-54 წლის ასაკობრივი ჯგუფები, ამ მხრივ, 100%-იანი მაჩვენებლებით არიან წარმოდგენილნი (Asymptotic Significance (2-sided) = 0.007):

ასაკი	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65<	ჯამი
მსმენია	100%	97.9%	97.4%	100%	97.2%	94.2%	97.6%
არ მსმენია	–	2.1%	2.1%	–	2.8%	5.8%	2.3%
პასუხი არ მაქვს	–	–	0.5%	–	–	–	0.1%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%



როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას?

- ეს პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ოჯახის მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასებას (Asymptotic Significance (2-sided) = 0.011):

	ძალიან დაბალი:	დაბალი:	საშუალო:	მაღალი:	ძალიან მაღალი:		
	მემოსავალი კვებაზე არ გვყოფნის	მემოსავალი კვებასა და ჩასაცმელზე ძლიერ გვყოფნის	ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვაზერჩებთ	შეგვიძლია, გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწოდოთ	შეგვიძლია, შევიძინოთ ძვირადღირებული ფიქსურების ნივთები	პასუხი არ მაქვს	ჯამი
მსმენია	93.1%	98.3%	98.2%	100%	100%	96.2%	97.5%
არ მსმენია	5.6%	1.7%	1.8%	–	–	3.8%	2.3%
პასუხი არ მაქვს	1.3%	–	–	–	–	–	0.2%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

„კლიმატის ცვლილების“ ცნობადობას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ აქვს სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან, როგორცაა განათლების ხარისხი, სკოლამდელი ან პროფესიული განათლების მიღება, საქმიანობა და ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია.



5.1.2



ღამოჰიდებუღაბა

ჰლიმათის სვლიღაბაღა ინფორმირებუღობის
მიღართ

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
ჰლიმათის სვლიღაბის შესახებ

რატდენობრივი კვლევა

#EU4Climate

დამოკიდებულება კლიმატის ცვლილებაზე ინფორმირებულობის მიმართ

ამ კუთხით გენერალური ერთობლიობის დამოკიდებულების შესაფასებლად, ანკეტაში შეტანილი იყო ორი ურთიერთშემავსებელი შეკითხვა:

პირველს უნდა დაედგინა კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის/ცოდნის მიღების მნიშვნელობა თვითონ რესპონდენტისთვის;

მეორე შემთხვევაში კი რესპონდენტს უნდა შეეფასებინა ასეთი ინფორმაციის/ცოდნის მნიშვნელობა საზოგადოების სხვა წევრებისათვის/იმ სოციალური ჯგუფისათვის, რომლის წევრიც არის.





შეფასებისათვის გამოყენებულია 5-ქულიანი სკალა, რომელზეც 1 ნიშნავს „სრულიად უმნიშვნელოა“, ხოლო 5 – „ძალზე მნიშვნელოვანია“

	1 სრულიად უმნიშვნელოა	5 ძალზე მნიშვნელოვანია	საშუალო	მედიანა	სტ. გადახდა
რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/ცოდნის მიღება კლიმატის ცვლილებაზე პირადად თქვენთვის?			4.49	5.00	0.778
რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/ცოდნის მიღება კლიმატის ცვლილებაზე იმ ადამიანებისათვის, რომლებთანაც გაქვთ ხშირი კომუნიკაცია (ოჯახის წევრები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები და ა. შ.)			4.46	5.00	0.773

- **კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის/ცოდნის მიღებას ზოგადად დიდი მნიშვნელობა ენიჭება:** ორივე შემთხვევაში მიღებული მაჩვენებლები მაქსიმალურ მნიშვნელობას უახლოვდება.

საკითხს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის/ცოდნის მიღება როგორც პირადად რესპონდენტისთვის, ისე, მისი შეფასებით, საზოგადოების სხვა წევრებისთვის, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასებასა და განათლების ხარისხთან.

ორივე შემთხვევაში, ჯგუფებმა, რომლებმაც საკუთარი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას საშუალო ან მაღალი შეფასება მისცეს, კლიმატის ცვლილებაზე ცოდნის მიღება უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნეს. თუმცა, განსხვავება საკმაოდ მცირეა, რაც შესაძლოა, ზოგადად მაღალი შეფასებებით აიხსნას:



რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/ცოდნის მიღება კლიმატის ცვლილებაზე პირადად თქვენთვის?

როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას? (Sig. = .000)

ძალიან დაბალი: შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის	4.29
დაბალი: შემოსავალი კვებასა და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის	4.43
საშუალო: ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ	4.57
მაღალი: შეგვიძლია, გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწვდეთ	4.77
ძალიან მაღალი: შეგვიძლია, შევიძინოთ ძვირადღირებული ფუფუნების ნივთები	4.00
უარი პასუხზე	3.96
ჯამი	4.49




რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/ცოდნის მიღება კლიმატის ცვლილებაზე იმ ადამიანებისათვის, რომლებთანაც გაქვთ ხშირი კომუნიკაცია?

როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას? (Sig. = .036)

ძალიან დაბალი: შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის	4.51
დაბალი: შემოსავალი კვებასა და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის	4.35
საშუალო: ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ	4.50
მაღალი: შეგვიძლია, გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწვდეთ	4.54
ძალიან მაღალი: შეგვიძლია, შევიძინოთ ძვირადღირებული ფუფუნების ნივთები	4.00
უარი პასუხზე	4.18
ჯამი	4.46

სრული ზოგადი განათლების, ასევე, ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მქონე ჯგუფებში კლიმატის ცვლილებაზე ცოდნის მიღების მნიშვნელობა უფრო მაღალი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი. თუმცა განსხვავება საკმაოდ მცირეა, რაც შესაძლოა, ზოგადად მაღალი შეფასებებით აიხსნას:

შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც კლიმატის ცვლილებაზე ცოდნის მიღების მნიშვნელობა სრული ზოგადი განათლების, ასევე, ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მქონე ჯგუფებში უფრო მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. განსხვავება აქაც საკმაოდ მცირეა, რაც შესაძლოა, ასევე ზოგადად მაღალი შეფასებებით აიხსნას:



რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/ცოდნის მიღება კლიმატის ცვლილებაზე პირადად თქვენთვის?

განათლების ხარისხი (Sig. = .000):

წერა-კითხვის მცოდნე	3.00
დაწყებითი განათლება	4.00
ზოგადი საბაზისო განათლება	4.23
სრული ზოგადი განათლება	4.51
ბაკალავრის ხარისხი	4.69
მაგისტრის ხარისხი	4.49
დოქტორის ხარისხი	3.86
ჯამი	4.49



რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის/ცოდნის მიღება კლიმატის ცვლილებაზე იმ ადამიანებისათვის, რომლებთანაც გაქვთ ხშირი კომუნიკაცია?

განათლების ხარისხი (Sig. = .000):

წერა-კითხვის მცოდნე	5.00
დაწყებითი განათლება	4.68
ზოგადი საბაზისო განათლება	4.50
სრული ზოგადი განათლება	4.46
ბაკალავრის ხარისხი	4.64
მაგისტრის ხარისხი	4.30
დოქტორის ხარისხი	3.72
ჯამი	4.46

ზოგადად სოციუმთან/საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებით, კლიმატის ცვლილებაზე ცოდნის მიღების მნიშვნელობა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი წერა-კითხვის მცოდნე და დაწყებითი განათლების მქონე ჯგუფებში, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ეს შედეგი ვერ შეფასდება/განიმარტება.

სხვა დემოგრაფიულ პარამეტრებთან, მათ შორის, სქესსა და ასაკთან, ამ ცვლადებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ აქვს.

კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის/ცოდნის მიღებისთვის მაღალი მნიშვნელობის მინიჭება შეიძლება ამ საკითხის გაცნობიერების ერთ-ერთ არსებით ინდიკატორად მივიჩნიოთ.



5.1.3

ძირითადი

საინფორმაციო წყაროები

× კლიმატის ცვლილების შესახებ

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომდენობრივი კვლევა

#EU4Climate

ძირითადი საინფორმაციო წყაროები კლიმატის ცვლილების შესახებ


იმ ძირითად წყაროებს შორის, რომელთა მეშვეობითაც ვიღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილებაზე, გამოკვეთილად ლიდერობენ ეროვნული სატელევიზო არხები (გამოკითხულთა 80.9 %).

მაღალი სიხშირით გამოირჩევა სოციალური ქსელები და მოკლე „ნიუსებზე“ ორიენტირებული ინტერნეტ-წყაროები.

არაფორმალური წყაროები (ოჯახის წევრები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები) ბევრად ნაკლებად გვხვდება.


სხვა წყაროები, საიდანაც შესაძლებელია უფრო მრავალფეროვანი, დეტალური, სიღრმისეული ან გლობალური ინფორმაციის მიღება, უმნიშვნელო სიხშირით არის წარმოდგენილი (თითოეული 2.0%-ზე ნაკლებია, ჯამური მაჩვენებელი კი 19.2%-ს შეადგენს). აქედან კითხვარში შესაძლო პასუხების სახით შეტანილი იყო: **ჟურნალები, გაზეთები, სამეცნიერო ლიტერატურა, საჯარო საინფორმაციო შეხვედრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები/სასწავლო კურსები, ასევე, სამინისტროების, უნივერსიტეტებისა და სხვა უწყებების ინტერნეტ-გვერდები/გამოცემები, ბროშურები, ლიფლეტები, პოსტერები და ა.შ.**

ინტერვიუ ითვალისწინებდა სხვა პასუხის გაცემის შესაძლებლობასაც.



5.1.3


რომელი წყარო(ებ)დან იღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილებაზე?



• პასუხების ჯამი 100%-ს აღარებს, რადგან დასაშვები იყო ერთზე მეტი წყაროს დასახელება

შეიძლება ითქვას, რომ კლიმატის შესახებ საინფორმაციო წყაროების სიმწირე თავად რესპონდენტებსაც გაცნობიერებული აქვთ, რადგან აშკარა განსხვავება იკვეთება რეალურ და სასურველ საინფორმაციო წყაროებს შორის. მართალია, სასურველ წყაროებში კვლავ ტელევიზია ლიდერობს, მაგრამ მისი — ისევე, როგორც სოციალური ქსელების — ხვედრითი წილი საკმაოდ შემცირებულია და სახელდება ის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც უფრო სრულყოფილ და ამომწურავ ინფორმაციას/ცოდნას აწვდიან კლიმატის ცვლილებაზე:

რომელი წყაროებით ისურვებდით ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილებაზე და მის შედეგებზე?



ტელევიზია	55.4%
სოციალური ქსელები (მაგ.: Facebook)	30.3%
ინტერნეტმედია: სამინისტროები, უნივერსიტეტები და ა.შ. ინტერნეტგვერდები/გამოცემები	20.0%
ნაცნობ-მეგობრები	14.1%
ოჯახის წევრები/ნათესავები	11.4%
საჯარო საინფორმაციო შეხვედრები	7.0%
SMS შეტყობინებები	6.9%
გაზეთები	6.3%
ბროშურები/ლიფლეტები/ჰოსტერები	4.8%
ჟურნალები	4.7%
რადიო	3.5%
სასწავლო კურსები (საგანმანათლებლო დაწესებულებებში)	2.2%
სამეცნიერო ლიტერატურა	1.8%
არ მსურს (დამატებითი) ინფორმაციის მიღება კლიმატის ცვლილებაზე	8.5%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.7%

◦ პასუხების ჯამი 100%-ს აღარბებს, რადგან დასაშვები იყო ერთზე მეტი წყაროს დასახელება

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საინფორმაციო საშუალებების სრულყოფის მოთხოვნა შეიძლება ამ საკითხის მიმართ ინტერესისა და მისი გაცნობიერების კიდევ ერთ ინდიკატორად მივიჩნიოთ.



5.1.4

კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღების სიხშირე

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომდენობრივი კვლევა

#EU4Climate

კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღების სიხშირე

ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალი შედეგებით არის წარმოდგენილი:




გამოკითხულთა

85.4%

აღნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციას კვირაში ან თვეში რამდენჯერმე იღებს:

რამდენად ხშირად იღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილებაზე?



კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღების სიხშირეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ისეთ მახასიათებლებთან, როგორცაა: **განათლების ხარისხი, სკოლამდელი ან პროფესიული განათლება, საქმიანობა და ოჯახის მატერიალური მდგომარეობის თვითშეფასება.**

- კლიმატზე ინფორმაციის ხშირი მიღებით გამოირჩევიან საბაზისო და სრული ზოგადი განათლების, ასევე, ბაკალავრის ხარისხის მქონე ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე (მაგისტრი, დოქტორი/PhD) შეინიშნება ინტენსივობის კლების ტენდენცია; ხოლო უფრო დაბალი საფეხურები (წერა-კითხვის მცოდნე; დაწყებითი განათლება) იმდენად მცირე სიხშირით არის წარმოდგენილი, რომ საკმარისი საფუძველს არ იძლევა განმარტებისთვის (Asymptotic Significance (2-sided) = 0.005):

განათლება — მიღწეული უმაღლესი ხარისხი:

	წერა-კითხვის მცოდნე	დაწყებითი განათლება	ზოგადი საბაზისო განათლება ან მასთან გათანაბ.	სრული ზოგადი განათლება ან მასთან გათანაბ.	ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული	მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული	დოქტორის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული	ჯამი
კვირაში რამდენჯერმე	0	5	83	265	110	119	5	587
	0.0%	0.9%	14.1%	45.1%	18.7%	20.3%	0.9%	100%
	0.0%	100%	61%	56.4%	52.1%	49.6%	41.7%	54.6%
თვეში რამდენჯერმე	0	0	32	138	77	79	5	331
	0.0%	0.0%	9.7%	41.7%	23.3%	23.9%	1.5%	100%
	0.0%	0.0%	23.5%	29.4%	36.5%	32.9%	41.7%	30.8%
კვარტალში რამდენჯერმე	0	0	6	32	14	24	1	77
	0.0%	0.0%	7.8%	41.6%	18.2%	31.2%	1.3%	100%
	0.0%	0.0%	4.4%	6.8%	6.6%	10.0%	8.3%	7.2%
ექვს თვეში რამდენჯერმე	0	0	4	5	2	5	1	17
	0.0%	0.0%	23.5%	29.4%	11.8%	29.4%	5.9%	100%
	0.0%	0.0%	2.9%	1.1%	0.9%	2.1%	8.3%	1.6%
უფრო იშვიათად	1	0	6	22	5	11	0	45
	2.2%	0.0%	13.3%	48.9%	11.1%	24.4%	0.0%	100%
	100%	0.0%	4.4%	4.7%	2.4%	4.6%	0.0%	4.2%
პასუხი არ მაქვს	0	0	5	8	3	2	0	18
	0.0%	0.0%	27.8%	44.4%	16.7%	11.1%	0.0%	100%
	0.0%	0.0%	3.7%	1.7%	1.4%	0.8%	0.0%	1.7%
ჯამი	1	5	136	470	211	240	12	1075
	0.1%	0.5%	12.7%	43.7%	19.6%	22.3%	1.1%	100%
	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

- სკოლამდელი განათლების მქონე ჯგუფში კლიმატზე ინფორმაციის მიღების სიხშირე უფრო მაღალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი, ვიდრე იმ პირთა შორის, ვისაც ასეთი განათლება არ აქვს (Asymptotic Significance (2-sided) = 0.042):

	სკოლამდელი განათლება მიღებული აქვს	სკოლამდელი განათლება არ მიუღია	ჯამი
კვირაში რამდენჯერმე	55.7%	52.7%	54.7%
თვეში რამდენჯერმე	31.3%	29.6%	30.7%
კვარტალში რამდენჯერმე	7.1%	7.0%	7.1%
ექვს თვეში რამდენჯერმე	1.4%	2.2%	1.7%
უფრო იშვიათად	3.6%	5.4%	4.2%
პასუხი არ მაქვს	0.9%	3.2%	1.7%
ჯამი	100%	100%	100%

- პროფესიული განათლების მქონე ჯგუფში კლიმატზე ინფორმაციის მიღების სიხშირე გაცილებით მაღალი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი, ვიდრე იმ პირთა შორის, ვისაც პროფესიული განათლება არ აქვს (Asymptotic Significance (2-sided) = 0.000):

	პროფესიული განათლება მიღებული აქვს	პროფესიული განათლება არ მიუღია	ჯამი
კვირაში რამდენჯერმე	65.4%	47.6%	54.7%
თვეში რამდენჯერმე	24.4%	35.0%	30.7%
კვარტალში რამდენჯერმე	5.3%	8.1%	7.0%
ექვს თვეში რამდენჯერმე	0.9%	2.2%	1.7%
უფრო იშვიათად	3.2%	4.8%	4.2%
პასუხი არ მაქვს	0.7%	2.3%	1.7%

- დასაქმების ნიშნით, კლიმატზე ინფორმაციის მიღების სიხშირე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ და ინდმეწარმეთა ჯგუფში. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია დიასახლისებშიც (Asymptotic Significance (2-sided) = 0.008):

	დაქირავებით დასაქმებული საჯარო სექტორში	დაქირავებით დასაქმებული კერძო სექტორში	ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას	ინდ-მეწარმე	არაფორმალურ სექტორში დასაქმებული	არასამთავრობო ორგანიზაცია/ NGO/ საერთაშორისო	უმუშევარი	პენსიონერი	სტუდენტი	დიასახლისი	ჯამი
კვირაში რამდენჯერმე	59.5%	47.9%	68.8%	62.9%	12.5%	–	47.0%	59.2%	59.6%	61.2%	54.8%
თვეში რამდენჯერმე	26.7%	36.3%	22.9%	24.3%	75.0%	100.0%	32.6%	27.7%	29.8%	27.6%	30.7%
კვარტალში რამდენჯერმე	5.3%	7.9%	6.3%	10.0%	–	–	8.8%	5.2%	1.8%	8.2%	7.0%
ევეს თვეში რამდენჯერმე	3.1%	1.4%	–	–	–	–	2.3%	0.5%	5.3%	0.7%	1.6%
უფრო იშვიათად	3.8%	5.1%	–	2.9%	12.5%	–	5.6%	5.2%	3.5%	1.5%	4.2%
პასუხი არ მაქვს	1.5%	1.4%	2.1%	–	–	–	3.7%	2.1%	–	0.7%	1.8%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

- კლიმატზე ინფორმაციის მიღების სიხშირე საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი ჯგუფში, რომელშიც ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეფასებულია როგორც „დალიან დაბალი“; ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია იმ ჯგუფში, სადაც ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა „საშუალოდ“ შეფასდა (Asymptotic Significance (2-sided) = 0.000):


	დალიან დაბალი:	დაბალი:	საშუალო:	მაღალი:	დალიან მაღალი:		
	შემოსავალი კვებზეც არ გვყოფნის	შემოსავალი კვებასა და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის	ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვანერხებთ	შეგვიძლია, გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწვდეთ	შეგვიძლია, შევიძინოთ ძვირადღირებული ფუფუნების ნივთები	პასუხი არ მაქვს	ჯამი
კვირაში რამდენჯერმე	44.6%	51.8%	59.7%	52.8%	–	50.0%	54.7%
თვეში რამდენჯერმე	34.5%	32.4%	28.3%	37.5%	100%	20.8%	30.8%
კვარტალში რამდენჯერმე	6.1%	9.9%	6.1%	2.8%	–	8.3%	6.9%
ექვს თვეში რამდენჯერმე	2.7%	1.1%	1.5%	2.8%	–	4.2%	1.7%
უფრო იშვიათად	9.5%	3.2%	3.5%	4.2%	–	–	4.2%
პასუხი არ მაქვს	2.7%	1.8%	0.9%	–	–	16.7%	1.7%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

- სხვა დემოგრაფიულ პარამეტრებთან (ასაკი და სქესი) კლიმატზე ინფორმაციის მიღების სიხშირეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქმიანობა „ღიასახლისი“ ქალების ჯგუფს გულისხმობს. ფაქტი, რომ ეს არ უკავშირდება გენდერს, მაგრამ უკავშირდება ქალისთვის დამახასიათებელ საქმიანობას, მეტყველებს, რომ მიზანშეწონილია ამ საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევა გენდერულ ჭრილში.




ბოლოს როდის მიიღეთ ინფორმაცია კლიმატის ცვლილების საკითხებზე?


კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღების მატალი ინტენსივობისა და უკვე განხილულ კორელაციებზე გამოტანილი დასკვნების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ **88.5%-ში კლიმატის ცვლილების საკითხებზე ბოლო ინფორმაციის მიღების პერიოდად სახელდება გასული ერთი კვირა ან ერთი თვე:**




ბოლო ერთი კვირის განმავლობაში




ბოლო ერთი თვის განმავლობაში




ბოლო სამი თვის განმავლობაში



ბოლო ექვსი თვის განმავლობაში



უფრო დიდი ხნის წინათ



პასუხი არ მაქვს



5.1.5

კლიმატის ცვლილებაზე ბოლო ღრმს მიღებული ინფორმაცია

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატონობრივი კვლევა

#EU4Climate

კლიმატის ცვლილებაზე ბოლო დროს მიღებული ინფორმაცია

უკვე აღინიშნა, რომ ცნობადობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ტერმინი „კლიმატის ცვლილება“ საკვლევ პოპულაციაში საყოველთაოდ ცნობილია, ამ საკითხზე ინფორმაციის/ ცოდნის მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მისი სიხშირეც საკმაოდ მაღალია, თუმცა კვლევის შედეგად იკვეთება ბოლოდროინდელი ინფორმაციის ზედაპირულობა, ფრაგმენტულობა და თემატური სიმწირე. კერძოდ, ეს ცნობები უმთავრესად ფაქტობრივია და უკავშირდება ეროვნული ან ქვეყნის შიდა რეგიონული მასშტაბის სტიქიურ მოვლენებს. მათ შორის ყველაზე მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა წყალდიდობები.


საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, სტრატეგიული ან გლობალური მასშტაბის ინფორმაცია, ფაქტობრივად, არ სახელდება.

რას ეხებოდა ინფორმაცია, რომელიც ბოლოს მიიღეთ კლიმატის ცვლილებაზე?

სპონტანური პასუხი


19.7%

გაუჭირდა გახსენება, კონკრეტულად რა ინფორმაცია მიიღო ბოლოს კლიმატის ცვლილებაზე.



ზემოაღნიშნული მსჯელობის სასარგებლოდ მეტყველებს კვლევის ის შედეგებიც, რომ კლიმატის ცვლილებაზე კონკრეტული დოკუმენტის ან ანგარიშის გაცნობის შემთხვევები ძალიან იშვიათია:

წაგიკითხავთ თუ არა რაიმე დოკუმენტი ან ანგარიში, რომელიც კლიმატის ცვლილებას შეეხება?



იმ უკიდურესად მცირე სეგმენტის (6.24%) წარმომადგენელთა მნიშვნელოვან ნაწილს (თითქმის ნახევარს: 48.50%), რომელმაც უპასუხა, რომ წაიკითხა დოკუმენტი ან ანგარიში კლიმატის ცვლილებაზე, გაუჭირდა მისი დასახელება. **რელევანტურად მიჩნეულ დოკუმენტებს/ანგარიშებს შორის შედარებით მაღალი სიხშირით წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მასალები:**

გთხოვთ, გვითხრათ, კონკრეტულად რომელი დოკუმენტი ან ანგარიში წაიკითხეთ?


სკონტანური დასახელება

გლობალური დათბობის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები	7.10%
რიო-დე-ჟანეიროს რამსის კონფერენციის დოკუმენტური მასალები	1.00%
ანტარტიდაზე ყინულის დნობისა და წყლის დონის აწევა	3.30%
ნიადაგის შემოწმების ანგარიში	1.50%
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში	3.20%
ანგარიში ბუნების დაცვის კანონზომიერებაზე	1.00%
გაეროს ანგარიში კლიმატის ცვლილების სტატისტიკაზე და დასკვნითი ნაშრომი	11.10%

ხანძრის გამომწვევი მიზეზები და შედეგები ამაზონის ტყეში	1.20%
ანგარიში წყლის ხარისხის შესახებ	9.20%
პარიზის ხელშეკრულება/გრეტა ტუნბერგი	4.70%
თბილისის ატმოსფერული ჰაერის შედარება სხვა დიდ ქალაქებთან	1.20%
კიოტოს ოქმი	0.50%
გამოცემა Green Peas	1.10%
ანგარიში პარაზიტების შემოსევის შესახებ	1.90%
გარემოს დაცვის წლიური ანგარიში	4.10%
სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებული რადიოლოგიური დასკვნა	2.80%
მიჭირს პასუხის გაცემა	48.50%

შესაბამისად, დაბალია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გლობალურ ვალდებულებებსა და ეროვნულ პრიორიტეტებზე ინფორმირებულობის ხარისხიც:

სრულიად არ ვიცნობ




შეფასებისათვის გამოყენებულია 5-ქულიანი სკალა, რომელზეც 1 ნიშნავს „სრულიად უმნიშვნელო“, ხოლო 5 – „ძალზე მნიშვნელოვანია“

რამდენად იცნობთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გლობალურ ვალდებულებებსა და ეროვნულ პრიორიტეტებს?

1 სრულიად უმნიშვნელოა **5** ძალზე მნიშვნელოვანია

	საშუალო	მედიანა	სტანდ. გადახრა
დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგია (LEDS)	1.05	1.00	0.396
ეროვნულად მისაღები სათბური გაზების შემცირების ღონისძიებები (NAMA)	1.04	1.00	0.338
განსაზღვრული ეროვნული წვლილი (INDC , NDC)	1.04	1.00	0.268
ეროვნული სამოქმედო გეგმა (CAP)	1.09	1.00	0.474
ეროვნული შეტყობინება (NC)	1.06	1.00	0.406
ორწლიანი განახლებადი ანგარიში (BUR)	1.01	1.00	0.201




ფაქტი, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გლობალური ვალდებულებებისა და ეროვნული პრიორიტეტების ამსახველ დოკუმენტთა ცნობადობა, ფაქტობრივად, ნულს უახლოვდება (და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხი და მისი მნიშვნელობა საკვლევო პოპულაციისათვის უცნობი ან გაუცნობიერებელი თემა ნამდვილად არ არის), მეტყველებს, რომ ამკარად საჭიროა შესაბამისი საინფორმაციო კამპანიისა და წყაროების ეფექტიანობის ამაღლება.



პირობათის

სვლიდაბა, რომორს ბამონვა



5.2

კლიმატის სვლილება,
როგორც ბაზონვევა







5.2.1

კლიმატის ცვლილების გაცნობიერების ხარისხი და გლობალური ღონე

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომდენობრივი კვლევა

#EU4Climate

კლიმატის ცვლილების გაცნობიერების ხარისხი და გლობალური დონე

ძირითადი გამოწვევები,
რომელთა წინაშეც დღეს
მსოფლიო დგას -
ზოგადი მაჩვენებელი:

■ **57.9%**


ადიარებს კლიმატის ცვლილებას,
როგორც მსოფლიოს წინაშე მდგარ
ძირითად გამოწვევას

5.2.1

ამ საკითხს საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც კარგად ჩანს პასუხებით შემდეგ კითხვაზე:

თქვენი აზრით, რომელი ძირითადი გამოწვევების წინაშე დგას დღეს მსოფლიო პირველ რიგში? მეორე რიგში? მესამე რიგში?

მიღებული შედეგებით, კლიმატის ცვლილებას, როგორც მსოფლიოს წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევას, მთლიანობაში 57.9% ადიარებს:




1. საერთაშორისო ტერორიზმი; 2. სიღარიბე, საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობა.
3. კლიმატის ცვლილება; 4. ინფექციური დაავადებები; 5. ბირთვული იარაღის გავრცელება; 6. შეიარაღებული კონფლიქტები; 7. მსოფლიო მოსახლეობის მზარდი რაოდენობა; 8. სხვა

ძირითადი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას პირველ რიგში:

■ 15.3%

-ის აზრით, კლიმატის ცვლილება მსოფლიოს პირველი რიგის გამოწვევაა



1. საერთაშორისო ტერორიზმი; 2. სიღარიბე, საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობა. 3. კლიმატის ცვლილება; 4. ინფექციური დაავადებები; 5. ბირთვული იარაღის გავრცელება; 6. შეიარაღებული კონფლიქტები; 7. მსოფლიო მოსახლეობის მზარდი რაოდენობა; 8. სხვა

პირველი რიგის გლობალურ გამოწვევებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა „სიღარიბე, საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობა“.

ამ შედეგის სათანადოდ გასაანალიზებლად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სავლელ სამუშაოები ორი ძლიერი სიტუაციური ფაქტორის ზეგავლენით მიმდინარეობდა:

- 1 კოვიდ-19 (sars-cov-2), რამაც გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია;
- 2 სიღარიბე, რაც ამჟამად საქართველოს წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე და ფართომასშტაბიანი სოციალური პრობლემაა.

ამას ბოლო სამი თვის განმავლობაში ჩატარებული (განსაკუთრებით, დემოკრატიული ინსტიტუტების, NDI-ისა და IRI-ის თანამონაწილეობით ორგანიზებული) არაერთი კვლევის შედეგებიც მოწმობს. სავლელ სამუშაოები წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარეობდა, როდესაც სიღარიბე, როგორც ქვეყნის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევა, განსაკუთრებულად იყო ხაზგასმული პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო დებატებსა თუ დაპირებებში და, შესაბამისად, მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

სხვა გამოწვევებისადმი დამოკიდებულების უკეთ გასააზრებლად, მიზანშეწონილია მათი განხილვა ერთმანეთთან მიმართებითაც, სიტუაციური ზეგავლენით გაძლიერებული ფაქტორისგან/გამოწვევისგან დამოუკიდებლად.

დანარჩენ გამოწვევებს შორის კლიმატის ცვლილება „წამყვან“ სამეულში შედის, საერთაშორისო ტერორიზმსა და ინფექციურ დაავადებებთან ერთად.

საქართველოში კლიმატის ცვლილების, როგორც გლობალური გამოწვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ „კოვიდ 19“-ის პანდემიის ფონზე, ამ საკითხის, როგორც პირველი რიგის გამოწვევის მაჩვენებელი უმნიშვნელოდ (დაახლოებით, 3%-ით) განსხვავდება ინფექციური დაავადებების ანალოგიური მაჩვენებლისგან.

გლობალური გამოწვევების რანჟირებას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან. „საერთაშორისო ტერორიზმი“ და „ბირთვული იარაღის გავრცელება“ კაცებისთვის უფრო აქტუალური საკითხებია, ხოლო „სიღარიბეს, საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობას“ და „ინფექციურ დაავადებებს“ ქალები უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევენ.

ამ კონტექსტში კლიმატის ცვლილების მიმართ მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება (Asymptotic Significance (2-sided) = .004):

ძირითადი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას პირველ რიგში:



კატეგორია	ქალი	კაცი
საერთაშორისო ტერორიზმი	10.5%	19.7%
სიღარიბე, საკვებისა და სასმელი წყლის ნაკლებობა	46.0%	42.0%
კლიმატის ცვლილება	15.7%	14.9%
ინფექციური დაავადებები	20.5%	15.7%
ბირთვული იარაღის გავრცელება	2.3%	4.2%
შეიარაღებული კონფლიქტები	3.0%	2.4%
სხვა	1.9%	1.1%

დასკვნას, რომ საკვლევი პოპულაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლიმატის ცვლილებას, როგორც მსოფლიო გამოწვევას, კიდევ უფრო აძლიერებს ამ საკითხის გლობალური მნიშვნელობის გაზომვა დამოუკიდებლად (სხვა საკითხებთან შედარების გარეშე).

ამას მოწმობს პასუხები კითხვაზე:


თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულია კლიმატის ცვლილების საკითხი დღესდღეობით მსოფლიოში?

მიღებული შედეგების მიხედვით, კლიმატის ცვლილებას გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი საშუალოზე მაღალი სერიოზულობის საკითხად მიიჩნევს; 61.05% ფიქრობს, რომ ეს უადრესად სერიოზული პრობლემაა; **საშუალო შეფასება კი 4.44 ქულით** არის წარმოდგენილი:

რამდენად სერიოზულია კლიმატის ცვლილების საკითხი დღესდღეობით მსოფლიოში?

შეფასებისათვის გამოყენებულია 5-ქულიანი სკალა, რომელზეც 1 ნიშნავს „საერთოდ არ არის სერიოზული“, ხოლო 5 — „ძალიან სერიოზული“

1 საერთოდ არ არის სერიოზული 5 ძალიან სერიოზულია




ამ შემთხვევაში სქესის ნიშნით საშუალოებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig. =.002), თუმცა სხვაობა დიდი არ არის: ქალების შემთხვევაში საშუალო ქულაა 4.51, ხოლო კაცების შემთხვევაში — 4.35.

კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული ასპექტების გაცნობიერება შეფასდა ისეთი ინდიკატორითაც, როგორცაა დახურული კითხვების ბლოკი. ამ ინსტრუმენტით რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ, უკავშირდება თუ არა თითოეულ კითხვაში აღწერილი კონკრეტული მოვლენა კლიმატის ცვლილებას.

უკავშირდება თუ არა ჩამოთვლილი მოვლენები კლიმატის ცვლილებას?

მიღებული შედეგების მიხედვით, მოვლენათა შეფასებები უმეტესად სწორია და საფუძველს გვაძლევს ვარაუდისთვის, რომ საკვლევი პოპულაცია კლიმატის ცვლილებასა და მის მთავარ ასპექტებს სათანადოდ აცნობიერებს:





5.2.2

ლოკალური ღონე - განაწილება რეგიონის ნიშნით

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ


რატომდენობრივი კვლევა



#EU4Climate

კლიმატის ცვლილება

და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა ქვეყნის მასშტაბითაც:



5-ქულიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს „სრულიად უმნიშვნელოა“, ხოლო 5 — „ძალიან მნიშვნელოვანია“) ის, საშუალოდ, 4.21 ქულით შეფასდა.

1 სრულიად უმნიშვნელოა **5** ძალიან მნიშვნელოვანია

ეს მაჩვენებელი ქალების ჯგუფში უფრო მაღალია (4.34 ქულა), ვიდრე კაცების ჯგუფში (4.06 ქულა). განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.=.000).

რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები საქართველოსთვის?

საშუალო შეფასება



საქართველოსთვის

კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა ქვეყნის მასშტაბითაც: 5-ქულიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს „სრულიად უმნიშვნელო“, ხოლო 5 — „ძალიან მნიშვნელოვანია“) ის, საშუალოდ, 4.21 ქულით შეფასდა.

ეს მაჩვენებელი ქალების ჯგუფში უფრო მაღალია (4.34 ქულა), ვიდრე კაცების ჯგუფში (4.06 ქულა). განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.=.000).

1 სრულიად უმნიშვნელოა 5 ძალიან მნიშვნელოვანია

კლიმატის ცვლილების საკითხი ზოგადად	4.21
ექსტრემალური ტემპერატურები	3.89
ექსტრემალური ნალექები	4.02
ქარების სიხშირე და ინტენსივობა	3.79
გვალვების სიხშირე და ინტენსივობა	3.94
სეტყვის სიხშირე და ინტენსივობა	4.04
წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირე და ინტენსივობა	4.12
ზღვიდან შემოტევა	3.10
მცინვარების დნობა	3.23
მეწყერები	3.96
ღვარცოფები	3.92
მიწის დეგრადაცია	3.69

რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები თქვენი რეგიონისთვის?

საშუალო შეფასება

რეგიონები

რეგიონის მასშტაბით კლიმატის ცვლილების მნიშვნელობის ზოგადი მაჩვენებელი 3.71 ქულას უტოლდება. **ამ შემთხვევაშიც ის ქალებთან უფრო მაღალია (3.81 ქულა), ვიდრე კაცებთან (3.59 ქულა).** განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.=.003).

რეგიონის მასშტაბით, შეფასებებში უფრო მცირე მაჩვენებლები შეინიშნება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით.


1 სრულიად უმნიშვნელოა	5 ძალიან მნიშვნელოვანია
კლიმატის ცვლილების საკითხი ზოგადად	3.71
ექსტრემალური ტემპერატურები	3.34
ექსტრემალური ნალექები	2.93
ქარების სიხშირე და ინტენსივობა	2.97
გვალვების სიხშირე და ინტენსივობა	3.11
სეტყვის სიხშირე და ინტენსივობა	2.38
წყალდიდობების და წყალმოვარდნების სიხშირე და ინტენსივობა	2.34
ზღვიდან შემოტევა	1.66
მყინვარების დნობა	1.63
მეწყერები	2.04
ღვარცოფები	2.01
მიწის დეგრადაცია	2.63

კლიმატის ცვლილების საკითხის მნიშვნელობა რეგიონისთვის

რეგიონული მაჩვენებლები

ეს შეიძლება აიხსნას ქვეყნის შიგნით არსებული სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებით, რომლებიც მიემართება კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებულ რეგიონებში:

1 სრულიად უმნიშვნელოა	5 ძალიან მნიშვნელოვანია
თბილისი 3.32	ქვემო ქართლი 3.09
გურია 4.68	სამეგრელო 3.87
აჭარა 4.01	იმერეთი 4.06
შიდა ქართლი 3.52	სამცხე-ჯავახეთი 3.81
კახეთი 4.54	მცხეთა-მთიანეთი 3.15



**კლიმატის ცვლილების
კონკრეტულ საკითხებთან
დამოკიდებულების რეგიონული
მაჩვენებლები ასეთია:**

	ექსტრემალური ნალექები	ქარების სიხშირე და ინტენსივობა	გაზღვების სიხშირე და ინტენსივობა	სუბყვის სიხშირე და ინტენსივობა	წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირე და ინტენსივობა	ზღვიდან შემოტევა	მყინვარების დნობა	მეწყაროები	ღვარსოვლები	მიწის დუნადასია
თბილისი	2.43	2.54	2.30	2.00	2.24	1.26	1.56	1.97	2.00	2.02
გურია	4.49	4.42	4.15	3.34	4.21	3.36	2.92	4.70	3.36	4.88
აჭარა	3.54	2.65	2.81	2.34	2.76	2.31	1.99	2.86	2.76	2.72
შიდა ქართლი	1.75	2.17	3.38	2.19	1.74	1.00	1.00	1.66	1.61	1.86
კახეთი	4.35	4.32	4.92	4.83	3.22	1.35	1.34	1.54	1.79	3.37
ქვემო ქართლი	2.60	3.05	3.04	2.52	2.31	1.90	1.87	2.03	1.91	2.77
სამეგრელო	2.66	2.47	2.80	1.20	1.79	1.25	1.01	1.18	1.47	2.27
იმერეთი	3.29	3.51	3.52	1.90	2.19	1.78	1.44	2.15	2.14	3.43
სამცხე-ჯავახეთი	3.48	3.51	3.68	3.59	1.83	1.38	1.34	1.30	1.35	1.45
მცხეთა-მთიანეთი	2.62	2.60	3.18	2.58	2.35	1.00	4.62	2.23	1.95	3.17



კლიმატის ცვლილების კონკრეტულ საკითხებთან/მოვლენებთან დამოკიდებულების მაჩვენებლებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან:

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი რეგიონისათვის

1 =MIN **5** =MAX

	ექსტრემალური ტემპერატურები	ექსტრემალური ნალექები	ქარების სიხშირე და ინტენსივობა	მზაღვების სიხშირე და ინტენსივობა	სეტყვის სიხშირე და ინტენსივობა	წყალმოვარდნების და ინტენსივობა	ზღვიდან შემოჭვა	მყინვარების დნობა	მუწყაროები	ღვარცოფები	მიწის დეზრადაცია
ქალი	3.40	2.99	3.03	3.13	2.41	2.36	1.53	1.58	1.99	1.96	2.59
კაცი	3.28	2.87	2.90	3.09	2.33	2.32	1.82	1.69	2.09	2.06	2.67

ყოველდღიურ და ლოკალური მნიშვნელობის მქონე მოვლენათა მიმართ, რომლებიც უშუალოდ და ინტენსიურად უკავშირდება გარემოს/ცხოვრების წესს, ქალები უფრო სენსიტიურები არიან, ზოგად და ფართომასშტაბიან მოვლენებს კი კაცები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ეს განსხვავებები ძალიან მცირე სიდიდებით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ საკითხების უფრო სიღრმისეული და ევრისტიკული კვლევა, გენდერის ექსპერტთა ჩართულობით.



5.2.3

კლიმატის ცვლილება, რომორც ბამონვევა საქართველოს რეგიონების წინაშე


რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომდენობრივი კვლევა

#EU4Climate

გთხოვთ, დაასახელოთ საქართველოს ყველაზე დაუცველი რეგიონები კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით

საქართველოს ყველაზე დაუცველ რეგიონებად დასახელდა კახეთი, იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, აჭარა და სამეგრელო/ზემო სვანეთი (შესაძლებელი იყო არაუმეტეს 3 რეგიონის დასახელება):



თბილისი	5.3%
გურია	5.6%
აჭარა	36.6%
შიდა ქართლი	4.3%
კახეთი	70.8%

ქვემო ქართლი	4.8%
სამეგრელო/ზემო სვანეთი	36.5%
იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/სვანეთი	44.7%
სამცხე-ჯავახეთი	4.3%
მცხეთა-მთიანეთი	5.9%

სკონტანური პასუხების საფუძველზე, გამოვლინდა თითოეულისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრობლემები, რომლებმაც განაპირობა მათი დასახელება დაუცველ რეგიონებს შორის.

მიღებული შედეგები ასეთია:

კახეთი:		იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ყვამო სვანეთი:		აჭარა:		სამეგრელო/ზემო სვანეთი:	
სეტყვა	92.5%	წყალდიდობები	63.1%	მეწყერი	56.8%	მეწყერი	54.9%
გვალვა	20.0%	მეწყერი	27.3%	წყალდიდობები	30.0%	წყალდიდობები	32.4%
წყალდიდობები	8.6%	ღვარცოფი	10.7%	ზვავი	12.1%	ზვავი	15.4%
სხვა	26.70%	მიწისძვრა	8.5%	უხვი ნალექი	7.4%	ღვარცოფი	10.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.4%	უხვი ნალექი	4.1%	ღვარცოფი	5.5%	დიდთოვლობა	7.6%
		გვალვა	3.4%	ზღვიდან შემოტევა	5.3%	მყინვარების დნობა	4.1%
		სხვა	10.7%	სხვა	14.7%	სხვა	11.90%
		მიჭირს პასუხის გაცემა	0.6%	მიჭირს პასუხის გაცემა	1.5%	მიჭირს პასუხის გაცემა	1.00%
სამცხე-ჯავახეთი:		მცხეთა-მთიანეთი:		ყვამო ქართლი:		გურია:	
სეტყვა	30.0%	მეწყერი	38.8%	სეტყვა	20.8%	მცოცავი მიწა/ გრუნტი	25.3%
ძლიერი ყინვები/დაბალი ტემპერატურა	20.0%	ზვავი	20.9%	გვალვა	45.8%	მიწის დეგრადაცია	17.3%
ხანგრძლივი ზამთარი/ხანმოკლე ზაფხული	12.0%	დიდთოვლობა	20.9%	წყალდიდობები	10.4%	გვალვა	8.0%
წყალდიდობები	10.0%	წყალდიდობები	13.4%	მიწის დეგრადაცია	6.3%	უხვი ნალექი	5.3%
გვალვა	10.0%	ღვარცოფი	11.9%	სხვა	12.50%	ზვავი	4.0%
დიდთოვლობა	10.0%	უხვი ნალექი	4.5%	მიჭირს პასუხის გაცემა	10.4%	ნიადაგის ეროზია	4.0%
მეწყერი	6.0%	გვალვა	3.0%			სხვა	16.0%
მცოცავი მიწა/ გრუნტი	4.0%	მცოცავი მიწა/ გრუნტი	3.0%			მიჭირს პასუხის გაცემა	1.3%
მიწისძვრა	4.0%	მყინვარების დნობა	3.0%				
ხანძრები	4.0%	სხვა	12.0%				
სხვა	14.0%						
მიჭირს პასუხის გაცემა	2.0%						
				შიდა ქართლი:		თბილისი:	
				სეტყვა	55.8%	ტრანსპორტის გამო ჰაერის დაბინძურება	43.1%
				გვალვა	30.2%	წყალდიდობები/ღვარცოფი/უხვი ნალექი	21.60%
				მიწის დეგრადაცია	9.3%	ინტენსიური მშენებლობების შედეგად გარემოს დაზიანება	11.8%
				წყალდიდობები	7.0%	სხვა	13.7%
				ქარების სიხშირე და ინტენსივობა	4.7%	მიჭირს პასუხის გაცემა	23.5%
				სხვა	7.0%		
				მიჭირს პასუხის გაცემა	4.7%		

განხილული შედეგების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ პოპულაციას ძირითადად კარგად აქვს გაცნობიერებული კლიმატის ცვლილების ზოგადი არსი და მასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები.

პასუხები სათანადოდ და ამომწურავად ასახავს კლიმატის ცვლილების აქტუალურ პრობლემათა განაწილებას რეგიონების მიხედვით, თუმცა, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ორი ხარვეზი:

- 1** არარელევანტური პასუხები გამოვლინდა თბილისთან მიმართებით;
- 2** მოსალოდნელთან/რეალურ სიტუაციასთან შედარებით, მცირე სიხშირით აღინიშნა ინვაზიური სახეობები.

თბილისში მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დედაქალაქის შემდგომი სიღრმისეული კვლევა ამ კუთხით.

შესაძლო ახსნებს შორის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კლიმატის ცვლილება გააზრებულია გლობალური მასშტაბის მრავალმხრივ საკითხად, რომელიც უშუალოდ თუ გაშუალებულად/არაპირდაპირ შეიძლება უკავშირდებოდეს გარემოსა და ცხოვრების პირობების ყველა ასპექტს:

თქვენი აზრით, იწვევს თუ არა კლიმატის ცვლილება ქვემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ და სხვა უარყოფით შედეგებს?

- 1** საერთოდ არ იწვევს
- 5** ერთმნიშვნელოვნად იწვევს

	საშუალო	მედიანა	სტ გადახრა
სამუშაო ადგილების შემცირება	3.34	3.00	1.446
ფასების ზრდა	3.86	4.00	1.311
სიდარიბის ზრდა	3.93	4.00	1.261
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება	4.34	5.00	1.007
სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელება	3.93	4.00	1.105
ბიომრავალფეროვნების დაკარგვა/დანაკარგები ბიომრავალფეროვნებაში (განუმარტეთ)	3.94	4.00	1.139
ვირუსული დაავადებების, მათ შორის, COVID-19-ის, წარმოშობა/გავრცელება	3.33	4.00	1.518
გულის დაავადებების, ინსულტის, კიბოსა და ა.შ. ზრდა, რაც გამოიწვია გარემოს უარყოფითად შეცვლამ	3.95	4.00	1.160
სიკვდილიანობის ზრდა	3.89	4.00	1.121





ამ დებულებათა ნაწილს კორელაციური კავშირი აქვს სქესთან: მცირე განსხვავებით, მაგრამ ქალები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კლიმატის ცვლილების გავლენას შემდეგ სფეროებზე: სიღარიბის ზრდა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება; სხვადასხვა ტიპის ინფექციებისა და ვირუსული დაავადებების, მათ შორის, COVID-19-ის წარმოშობა/გავრცელება; გულის დაავადებების, ინსულტისა და კიბოს შემთხვევათა მატება; და სიკვდილიანობის ზრდა.

	ქალი	კაცი
სიღარიბის ზრდა	4.00	3.85
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება	4.41	4.26
სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელება	4.01	3.83
ვირუსული დაავადებების, მათ შორის, COVID-19-ის წარმოშობა/გავრცელება	3.49	3.15
გულის დაავადებების, ინსულტის, კიბოს და ა.შ. ზრდა, რაც გამოიწვია გარემოს უარყოფითად შეცვლამ	4.07	3.81
სიკვდილიანობის ზრდა	4.01	3.75

აღსანიშნავია, რომ ფაქტორული ანალიზის შედეგად, საკვლევი მოვლენები ორ კომპონენტად გაიყო:

თქვენი აზრით, იწვევს თუ არა კლიმატის ცვლილება ქვემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ და სხვა უარყოფით შედეგებს?

კომპონენტების მოხრუნების მატრიცა ¹	კომპონენტი	
	1	2
სამუშაო ადგილების შემცირება	16.2%	78.8%
ფასების ზრდა	26.2%	87.5%
სიღარიბის ზრდა	27.5%	87.6%
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება	39.6%	67.5%
სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელება	66.5%	38.2%
ბიომრავალფეროვნების დაკარგვა/დანაკარგები ბიომრავალფეროვნებაში (განუმარტეთ)	66.1%	35.5%
ვირუსული დაავადებების, მათ შორის, COVID-19-ის, წარმოშობა/გავრცელება	72.2%	19.1%
გულის დაავადებების, ინსულტის, კიბოს და ა.შ. ზრდა, რაც გამოიწვია გარემოს უარყოფითად შეცვლამ	84.6%	17.2%
სიკვდილიანობის ზრდა	81.9%	21.5%

პირველ ჯგუფს შეიძლება ვუწოდოთ „ჯანმრთელობის დამაზიანებელი ფაქტორები“, ხოლო მეორეს — „ეკონომიკის დამაზიანებელი ფაქტორები“. ასეთი შედეგი მიუთითებს, რომ კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების გაცნობიერების ხარისხი მაღალია და მოიცავს არა მხოლოდ ცალკეულ/კონკრეტულ მოვლენებს, არამედ მათი განზოგადების დონესაც.

ინვაზიური სახეობების მოსალოდნელზე მცირე სიხშირით დასახლება შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, ღია კითხვის ეფექტით, მეორე მხრივ კი შემდეგი ფაქტორით: ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში — ფაროსანა — უკვე რამდენიმე წელია, გავრცელდა და მოსახლეობამ გარკვეულწილად ისწავლა მის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს დახურული კითხვებით გაზომვის შედეგები (რასაც აქვს შეხსენების ეფექტი): ამ პასუხებში ინვაზიური სახეობები ყველაზე მაღალი სიხშირით არის წარმოდგენილი.

ბოლო წლებში თქვენს საცხოვრებელ ადგილას რაიმე ცვლილება ხომ არ შეგინიშნავთ გარემოს დეგრადაციის კუთხით? მაგალითად:


ინვაზიური (შემოჭრილი) ახალი სახეობები (მაგ.: ფაროსანა)	38.5%
გვალვების განშირება	31.2%
ტყეების გაჩეხვა	23.8%
წყლის ხარისხის გაუარესება	18.9%
ნიადაგის ეროზია ან დეგრადაცია	14.0%
მცენარეთა სახეობების ან რაოდენობის შემცირება	8.3%
ბუნებრივი კატასტროფების განშირება	8.1%
ველური ცხოველების რაოდენობის ან სახეობების შემცირება	4.2%
სხვა	3.4%
არ შემინიშნავს	19.4%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ)	5.9%

მიღებულ შედეგებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან:

ტყეების გაჩეხვისა და ველური ცხოველების რაოდენობის ან სახეობების შემცირება კაცების პასუხებში უფრო მეტი პროპორციით არის წარმოდგენილი, ხოლო მცენარეთა სახეობების ან რაოდენობის შემცირებასა და წყლის ხარისხის გაუარესებას ქალები უფრო ხშირად ასახელებენ.

ბოლო წლებში თქვენს საცხოვრებელ ადგილას რაიმე ცვლილება ხომ არ შეგინიშნავთ გარემოს დეგრადაციის კუთხით? მაგალითად?

ტყეების გაჩეხვა	20.2%	28.0%
ველური ცხოველების რაოდენობის ან სახეობების შემცირება	1.6%	7.2%
მცენარეების სახეობების ან რაოდენობის შემცირება	9.5%	6.9%
წყლის ხარისხის გაუარესება	21.5%	15.9%



5.2.4


დამოქმედებულება და პასუხისმგებლობის მექანიზმები

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომდენობრივი კვლევა

#EU4Climate

დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის მექანიზმები



კლიმატის ცვლილების მიმართ დამოკიდებულების დასადგენად, კითხვარში შეტანილი იყო დებულებათა 7 წყვილი. თითოეულ წყვილში რესპონდენტს უნდა შეერჩია, თუ რომელს ეთანხმებოდა მოცემული ორი დებულებიდან. პასუხები გაიზომა როტაციის პრინციპის დაცვით.

მიღებული შედეგების მიხედვით, საკვლევი პოპულაციის დამოკიდებულება კლიმატის ცვლილებისა და მისი არსებული თუ მოსალოდნელი შედეგების მიმართ, ძირითადად შეიძლება შეფასდეს, როგორც **ინფორმირებული, კარგად გაცნობიერებული, კორექტული, რაციონალური და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული.**

სახელდობრ, კლიმატის ცვლილება აღიქმება არა სოციალურ მითად, რომლის არსებობას/გავრცელებას მხარს უჭერენ გარკვეული ინტერესთა ჯგუფები (მაგ.: პოლიტიკოსები, ბიზნეს-მენები, მათთან ასოცირებული მკვლევრები და ა. შ.), არამედ რეალურ პროცესად, რომელიც საფრთხეს უქმნის დედამიწაზე ცხოვრებას; და ეს მხოლოდ მომავალს არ უკავშირდება: კაცობრიობა უკვე დგას ამ პრობლემის წინაშე, რომელიც

აქტუალურია ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც.

რაც შეეხება კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების შეჩერებას, ოპტიმისტური და ნაკლებიმედიანი დამოკიდებულებები, დაახლოებით, თანაბარი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი:


44.94% მიიჩნევს, რომ „კლიმატის ცვლილების შეჩერება, აგრეთვე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მავნე შედეგების შეჩერება ადამიანების/კაცობრიობის ძალისხმევით შესაძლებელია“, ხოლო 48.88%-ის აზრით, „კლიმატის ცვლილება შეუქცევადი პროცესია, რომლის შეჩერება ადამიანების/კაცობრიობის ძალისხმევით შეუძლებელია“.

თუმცა, საგულისხმო ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული ადამიანის პირად პასუხისმგებლობას:


64.70%-სთვის უფრო მისაღებია დებულება: „ცალკეულ ადამიანებს თავიანთი ქცევით/ცხოვრების წესით შეუძლიათ, შეიტანონ წვლილი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების განეიტრალებაში“, ხოლო 63.81% არ ეთანხმება დებულებას: „პირადად მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია გლობალური დათბობის/ კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ“.

როგელს უფრო ეთანხმებით?


1. კლიმატის ცვლილება მითია, რომელიც ბიზნესმენთა გარკვეულმა ჯგუფებმა, აგრეთვე, მათთან დაკავშირებულმა პოლიტიკოსებმა და მეცნიერებმა მოიგონეს, რათა დაე-ბლოკათ სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური აქტივობა (მაგ.: ქვანახშირის წარმოება) საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.
2. კლიმატის ცვლილება რეალური/ობიექტური პროცესია, რომელიც საფრთხეს უქმნის დედამიწაზე ცხოვრებას.




1. კლიმატის ცვლილება არ ენება საქართველოსა და მისნაირ ქვეყნებს; ის დიდი ინდუსტრიული ქვეყნების (აშშ, რუსეთი, ჩინეთი და ა.შ.) პრობლემაა.
2. კლიმატის ცვლილებას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც.




1. კლიმატის ცვლილებაზე საუბრისას სამომავლო სავარაუდო საფრთხეებზე მიუთითებენ; ეს საფრთხეები ჯერ არ დამდგარა.
2. კლიმატის ცვლილება არ არის საფრთხე, რომელიც მხოლოდ მომავალს უკავშირდება, ის მსოფლიოში დღეს არსებული, რეალური საფრთხეა.




1. კლიმატის ცვლილება რეალური საფრთხეა. თუმცა ბიზნესმენტა გარკვეული ნაწილი ცდილობს, კლიმატის ცვლილება არარეალურ ან გაზვიადებულ მოვლენად წარმოაჩინოს და ხალხი დაარწმუნოს, რომ ეს რეალური საფრთხე არ არის.
2. ბიზნესმენტა შესახებ მსგავსი წარმოდგენები არასწორი მგონია: კლიმატის ცვლილება არ მიმაჩნია რეალურ საფრთხედ.




1. კლიმატის ცვლილების შეჩერება, აგრეთვე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მავნე შედეგების შეჩერება ადამიანების/კაცობრიობის ძალისხმევით შესაძლებელია.
2. კლიმატის ცვლილება შეუქცევადი პროცესია, რომლის შეჩერება ადამიანების/კაცობრიობის ძალისხმევით შეუძლებელია.



1. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების შემცირება არ არის დამოკიდებული ცალკეული ადამიანების ქცევაზე/ცხოვრების წესზე; ეს დიდი სტრუქტურების/კომპანიების პასუხისმგებლობაა.
2. ცალკეულ ადამიანებს თავიანთი ქცევით/ცხოვრების წესით შეუძლიათ, შეიტანონ წვლილი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების განეიტრალებაში.



1. პირადად მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია გლობალური დათბობის/კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ.
2. ცალკეულ ადამიანებსაც შეუძლიათ, თავიანთი წვლილი შეიტანონ გლობალური დათბობის/კლიმატის ცვლილების შემცირებაში.



**თქვენი აზრით, რომელი
ორგანიზაციები/სტრუქტურები
შეძლებენ კლიმატის ცვლილებით
გამოწვეული პრობლემების
მართვას?**

უმრავლესობას მიაჩნია, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების მართვას გარემოსდაცვითი და საერთაშორისო ორგანიზაციები შეძლებენ. სახელისუფლებო, განსაკუთრებით, ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე, ბიზნესორგანიზაციები, ძალიან დაბალი მაჩვენებლებით არიან წარმოდგენილნი. 11.7%-ს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა:

საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ.: გაერო)	25.9
ეროვნული/ცენტრალური მთავრობა	9.8
ადგილობრივი ხელისუფლება — რეგიონის დონე	3.7
ადგილობრივი ხელისუფლება — მერიის/გამგეობის დონე	2.0
ადგილობრივი ხელისუფლება — სოფლის/რწმუნებულის დონე	0
ბიზნესორგანიზაციები	0.1
გარემოსდაცვითი ორგანიზაციები	32.8
ინდივიდები	7.2
ყველა სუბიექტი ერთად	3.2
ვერავინ	3.0
მეცნიერები	0.4
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	11.7
ჯამი	100

დებუღებათა ორ წყვილს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი
კავშირი აქვს სქესთან, კერძოდ:



ქალები უფრო დაუცველად გრძნობენ თავს
კლიმატის ცვლილებისა და მასთან
დაკავშირებული პრობლემების წინაშე



კაცები კი უფრო ოპტიმისტურად უყურებენ ადამიანის
შესაძლებლობებისა და ძალისხმევის ეფექტიანობას
კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების მიმართ

დებულებათა ორ ნაწილს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან,

კერძოდ:

ქალები უფრო დაუცველად გრძნობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე; კაცები კი უფრო ოპტიმისტურად უყურებენ ადამიანის შესაძლებლობებისა და ძალისხმევის ეფექტიანობას კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების მიმართ:



მიიჩნევენ, რომ

კლიმატის ცვლილების, აგრეთვე, ამ პროცესით გამოწვეული მავნე შედეგების შეჩერება ადამიანების/კაცობრიობის ძალისხმევით შესაძლებელია



მიიჩნევენ, რომ

კლიმატის ცვლილება შეუქცევადი პროცესია, რომლის შეჩერება ადამიანების/კაცობრიობის ძალისხმევით შეუძლებელია



მიიჩნევენ, რომ

ცალკეულ ადამიანებსაც შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ გლობალური დათბობის/კლიმატის ცვლილების შემცირებაში;



მიიჩნევენ, რომ


პირადად არაფრის გაკეთება არ შეუძლია გლობალური დათბობის/კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ;





65 წლის ან მეტი ასაკის წარმომადგენლები უფრო დაუცველად გრძნობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე, ვიდრე შედარებით ახალგაზრდები.

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	ჯამი
კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების შემცირება არ არის დამოკიდებული ცალკეული ადამიანების ქცევაზე/ცხოვრების წესზე; ეს დიდი სტრუქტურების/კომპანიების პასუხისმგებლობაა.	9.6%	17.7%	16.0%	20.1%	14.3%	22.2%	100%
	21.2%	26.8%	24.5%	29.5%	23.9%	31.4%	26.6%
ცალკეულ ადამიანებს თავიანთი ქცევით/ცხოვრების წესით შეუძლიათ, შეიტანონ წვლილი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების განეიტრალებაში.	14.0%	17.8%	18.4%	16.7%	17.6%	15.4%	100%
	75.8%	65.5%	68.2%	59.5%	71.0%	53.1%	64.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	4.2%	15.6%	14.6%	22.9%	9.4%	33.3%	100%
	3.0%	7.7%	7.3%	11.0%	5.1%	15.5%	8.7%
ჯამი	12.0%	17.6%	17.4%	18.2%	16.0%	18.8%	100.0%
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	ჯამი
პირადად მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია გლობალური დათბობის/კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ.	7.8%	14.5%	16.8%	18.5%	18.3%	24.1%	100%
	23.5%	30.1%	34.9%	37.2%	41.2%	46.2%	36.2%
ცალკეულ ადამიანებსაც შეუძლიათ, თავიანთი წვლილი შეიტანონ გლობალური დათბობის/კლიმატის ცვლილების შემცირებაში.	15.7%	19.5%	17.9%	17.9%	14.3%	14.6%	100%
	75.0%	63.7%	58.9%	56.8%	50.8%	44.2%	57.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	2.8%	16.7%	16.7%	16.7%	19.4%	27.8%	100%
	1.5%	6.2%	6.3%	6.0%	7.9%	9.6%	6.5%
ჯამი	12.0%	17.5%	17.4%	18.1%	16.1%	18.9%	100%
	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%



კლიმატის ცვლილებაზე ინფორმირებულობის, მის მიმართ დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმების უფრო დეტალური კვლევისათვის, აგრეთვე, სხვა კითხვებით მიღებული შედეგების დასაზუსტებლად, კვლევის ინსტრუმენტში შეტანილი იყო დახურული კითხვების ბლოკი. რესპონდენტებს 5-ქულიანი სკალის მეშვეობით უნდა შეეფასებინათ, რამდენად ეთანხმებოდნენ ბლოკის თითოეულ დებულებას.

მიღებული შედეგები, ძირითადად, ჩვენ მიერ ფორმულირებული დასკვნების სასარგებლოდ მეტყველებს.

დამატებითი ინფორმაცია:

- კლიმატის ცვლილების მიმართ ინფორმირებული დამოკიდებულებისა დამატებითი სოციალური პასუხისმგებლობის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ქვეყანაში, სადაც სიღარიბე და უმუშევრობა პირველი რიგის პრობლემებია, კლიმატის ცვლილებისა და ეკონომიკის/დასაქმების/მატერიალური კეთილდღეობის პრობლემათა ურთიერთდაპირისპირებისას, უპირატესობა, ძირითადად, კლიმატის ცვლილებას ენიჭება; პასუხების ნაწილი პიროვნულ დონეზე არაგულწრფელიც რომ იყოს, ეს შედეგი, სულ მცირე, იმას მიანიშნებს, რომ **კლიმატის ცვლილების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა ადიქმება სოციალურად სასურველ ფენომენად და შეგვიძლია, ერთ-ერთ მნიშვნელოვან დირეზულებით ორიენტაციად მივიჩნიოთ.**
- ადამიანის დამოკიდებულება გარემოს მიმართ შეფასებულია, როგორც უდიერი და დესტრუქციული; შესაბამისად, ის შეცვლას საჭიროებს;
- დებულება, რომ „ქალები უფრო მეტად დაუცველები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების წინაშე, ვიდრე კაცები“, ნაკლებად არის გაზიარებული: მას სრულიად ეთანხმება მხოლოდ 6.7%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება 10.8%; „კი“ და „არა“ პასუხები თანაბრად გასცა 18.2%-მა; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება 9.2%; და სრულიად არ ეთანხმება 38.6%.
- წინამდებარე კვლევის არაერთი შედეგით გამოიკვეთა, რომ კლიმატის ცვლილების რიგი საკითხების მიმართ დამოკიდებულება განსხვავდება გენდერის მიხედვით. ეს მოწმობს, რომ საჭიროა კლიმატის ცვლილების უფრო სიდრმისეული კვლევა გენდერის ქრილში და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.

ანბარიში

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ დებულებას?

1=min & 5=max

1 მინიმალური	5 მაქსიმალური	საშუალო	მედიანა	სტ. გადახრა
სამუშაო ადგილების შექმნა მნიშვნელოვანია მაშინაც, თუ ისინი გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ		2.19	2.00	1.241
კლიმატის ცვლილების შესახებ გლობალური წახილი გადაჭარბებულია		2.33	2.00	1.283
ადამიანები ძალზე უდიერად ეპყრობიან დედამიწას		4.28	5.00	0.986
მთავრობამ გარკვეული შედეგები უნდა დააწესოს იმ ბიზნესსაქმიანობისთვის, რომელიც ეკოლოგიაზე ზრუნავს და ეკოლოგიურ საფრთხეებს ითვალისწინებს		4.32	5.00	0.946
ეკოლოგიაზე/ბუნების დაცვაზე ადამიანებმა მას შემდეგ უნდა იფიქრონ, რაც ეკონომიკურ პრობლემებს მოაგვარებენ		2.37	2.00	1.347
ადამიანი ყოველთვის იმარჯვებდა და გაიმარჯვებს ბუნებაზეც: „რატაცას მოიფიქრებს“		2.22	2.00	1.322

უფრო მნიშვნელოვანია კომფორტული ცხოვრება (მაგ.: ავტომობილის ყოლა), ვიდრე ის, რომ ავტომობილის გამონახობლქვი ჰაერს აბინძურებს	2.17	2.00	1.101
უმჯობესია, თუ ადამიანები უარს იტყვიან ისეთ სამსახურზე, რომელიც გარემოს აბინძურებს	3.57	4.00	1.178
ელექტროენერჯის ეკონომიური მოხმარებით შევამცირებთ კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების რისკებს	3.49	4.00	1.266
მტკივნეულად განვიცდი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებს	4.03	4.00	1.001
ჩარვეის გარეშე ყოველი მომდევნო თაობა სულ უფრო დაუცველი გახდება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების წინაშე	4.39	5.00	0.924
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით ყოველთვის შეიძლება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების დაძლევა	3.29	3.00	1.266
ქალები უფრო მეტად დაუცველები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების წინაშე, ვიდრე კაცები	2.25	2.00	1.361

ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქალები უფრო სენსიტიურები არიან კლიმატის ცვლილების მიმართ:

- „მთავრობამ გარკვეული შედეგები უნდა დააწესოს იმ ბიზნესსაქმიანობისთვის, რომელიც ეკოლოგიაზე ზრუნავს და ეკოლოგიურ საფრთხეებს ითვალისწინებს“ (საშუალო ქულა: ქალები — 4.37; კაცები — 4.26);
- „მტკივნეულად განვიცდი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებს“ (საშუალო ქულა: ქალები — 4.10; კაცები — 3.96);
- „ჩარევის გარეშე ყოველი მომდევნო თაობა სულ უფრო დაუცველი გახდება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების წინაშე“ (საშუალო ქულა: ქალები — 4.48; კაცები — 4.28).

ამ ბლოკის მიმართ ჩატარებული ფაქტორული ანალიზის შედეგად, 15 ცვლადი 4 კომპონენტში გადანაწილდა:



პირველ ფაქტორს შეიძლება ეწოდოს **სოციალური პასუხისმგებლობა**, მეორეს — **პრიორიტეტულობა**, მესამეს — **პრობლემის მართვა**, ხოლო მეოთხეს — **პერსონალური წვლილი**.

კომპონენტების მობრუნების მატრიცა ^a	კომპონენტი			
	1	2	3	4
სამუშაო ადგილების შექმნა მნიშვნელოვანია მაშინაც, თუ ისინი გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ;	-5.62%	76.50%	-3.63%	4.21%
კლიმატის ცვლილების შესახებ გლობალური წუხილი გადაჭარბებულია;	-10.68%	67.53%	0.39%	1.47%
ადამიანები ძალზე უდიერად ეპყრობიან დედამიწას;	77.06%	8.65%	-9.40%	-0.22%
მთავრობამ გარკვეული შეღავათები უნდა დააწესოს იმ ბიზნესსაქმიანობისთვის, რომელიც ეკოლოგიაზე ზრუნავს და ეკოლოგიურ საფრთხეებს ითვალისწინებს;	70.64%	-20.10%	0.48%	12.54%
ეკოლოგიაზე/ბუნების დაცვაზე ადამიანებმა მას შემდეგ უნდა იფიქრონ, რაც ეკონომიკურ პრობლემებს მოაგვარებენ;	6.16%	67.98%	20.23%	-7.05%
ადამიანი ყოველთვის იმარჯვებდა და გაიმარჯვებს ბუნებაზე: „რადაცას მოიფიქრებს“;	-8.71%	18.23%	76.02%	-8.72%
უფრო მნიშვნელოვანია კომფორტული ცხოვრება (მაგ.: ავტომობილის ყოლა), ვიდრე ის, რომ ავტომობილის გამონაბოლქვი ჰაერს აბინძურებს;	-9.39%	61.83%	22.71%	-17.72%
უმჯობესია, თუ ადამიანები უარს იტყვიან ისეთ სამსახურზე, რომელიც გარემოს აბინძურებს;	17.31%	-7.75%	-3.40%	76.05%
ელექტროენერჯის ეკონომიური მოხმარებით შევამცირებთ კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების რისკებს;	19.47%	-2.58%	4.21%	64.98%
მტკიცეულად განვიცდი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებს;	60.96%	-3.29%	3.72%	36.32%
ჩარევის გარეშე, ყოველი მომდევნო თაობა სულ უფრო დაუცველი გახდება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების წინაშე;	76.43%	-11.34%	8.41%	15.53%
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით ყოველთვის შეიძლება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების დაძლევა;	35.75%	14.18%	68.71%	-1.53%
ქალები უფრო მეტად დაუცველები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების წინაშე, ვიდრე კაცები.	-19.84%	-1.40%	59.39%	42.05%

ვინაიდან ეს ბლოკი, უშუალოდ თუ ირიბად, კლიმატის ცვლილების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს ასახავს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი პოპულაცია ამ ოთხი ზოგადი პარამეტრის სპექტრში გაიაზრებს კლიმატის ცვლილებას.



სოციალური ქვევინს ანალიზი

ქიოფატიის სვილიდების მიოარტი



5.3

სოციალური ქვევინს ანალიზი
კლიმატის სვლიდაბის
მიმართ





5.3.1

სოციალური ქცევა კლიმატის ცვლილების მიმართ

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომენობრივი კვლევა

#EU4Climate

სოციალური ეცევა კლიმატის ცვლილების მიმართ

კლიმატის ცვლილების შესაბამისი სოციალური ქცევები, ინფორმირებულობისა და გაცნობიერების ხარისხებისგან განსხვავებით, საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა, თუმცა მაღალია მზაობა გარკვეული ქცევების მიმართ (მაგ.: ენერგოეფექტური საშუალებების გამოყენება).

შესაბამისად, ინფორმირებულობისა და გაცნობიერების მაღალი ხარისხის, აგრეთვე, ენერგოეფექტურ საშუალებათა გამოყენებისადმი მზაობის გათვალისწინებით, ახსნა მნიშვნელოვანწილად სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებში უნდა ვეძებოთ: სახელდობრ, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტული ქცევების დაბალი სიხშირე უფრო მეტად ინფრასტრუქტურულ ან/და ფინანსურ ხელმისაწვდომობას უკავშირდება.

ამ კუთხით აღსანიშნავია ისიც, რომ მეტისმეტად დაბალი შემოსავლების პირობებში ადამიანი „იძულებულია“, მეტი დახარჯოს, რადგან არ აქვს გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობა (მაგ.: მან შეიძლება იცოდეს, რომ გარკვეული, უფრო ხარისხიანი ნივთის შეძენა გრძელვადიან პერსპექტივაში მოგებიანია, მაგრამ თუ არ აქვს ამის ფინანსური საშუალება, იძულებულია, ნაკლებფასიანი და ნაკლებხარისხიანი ნივთი შეიძინოს). ასეთი შემთხვევები ინფორმირებულობის ან გაცნობიერების დაბალ ხარისხს არ უკავშირდება.

ამ არგუმენტის სასარგებლოდ მეტყველებს კვლევის შემდეგი მონაცემებიც:

რესპონდენტთა 86.7%-ს გაცნობიერებული აქვს, რომ შეუმცირდება ხარჯები, თუ სახლში ენერგოეფექტურობის ზომებს გაატარებს; მხოლოდ 7.9% პასუხობს, რომ ამით მისი დანახარჯები მნიშვნელოვნად არ შეიცვლება; 6.1%-ს კი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (ბოლო ორ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანისთვის, **ვისი ხარჯების კიდევ უფრო შემცირებაც შეუძლებელია**, ეს შეიძლება ასახავდეს რეალობას, და არა იმას, რომ ვერ აცნობიერებს ენერგოეფექტურ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობას).

რესპონდენტებს, რომლებმაც უპასუხეს, რომ ენერგოეფექტური ზომების მიღებით შეუმცირდებათ დანახარჯები, შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეზუსტებინათ, კონკრეტულად რა ზომებს გაატარებდნენ.

- საკმაოდ მაღალია სიხშირული მაჩვენებლები, რომლებიც შეეხება მზაობას ენერგოეფექტური ზომების გატარებისთვის. მათ შორის მოდური მნიშვნელობაა ელექტროენერგიის დაზოგვა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სიღარიბისა და გადასახადების ფაქტორებს.

მეტი ენერგოეფექტური გათბობა	17.5%
უკეთესი იზოლაცია	31.0%
ელექტროენერგიის დაზოგვა	73.1%
ენერგიის განახლებადი წყაროების დაყენება	27.4%
წყლის დაზოგვა	19.9%
ნარჩენების გადამუშავება	4.3%
ენერგოეფექტური ნათურების გამოყენება	0.1%
ყველა ერთად	0.2%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	5.4%

ენერგოეფექტური ნათურების გამოყენების ასეთი დაბალი მაჩვენებელი იმით აიხსნება, რომ შეკითხვა მიზნად ისახავდა სამომავლო განზრახვების/მზაობის დადგენას. როგორც კითხვათა მომდევნო ბლოკის ანალიზი გვიჩვენებს, ამ ნათურებს რესპონდენტთა 80.6% უკვე იყენებს მეტ-ნაკლები სიხშირით.

კლიმატის ცვლილების შესაბამისი ქცევების სიხშირე გაიზომა ნახევრად დახურული კითხვების ბლოკით:

A16.1-A16.10. რამდენად ხშირად იქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში შემდეგნაირად?

1 თითქმის არასდროს/ არასდროს

5 რეგულარულად


- ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს;
- დავდივარ ფეხით მეტ-ნაკლებად შორ დისტანციებზე;
- გადავადგილდები ველოსიპედით;
- ვყიდულობ ბიოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტებს (ბიოპროდუქტებს);
- ვიყენებ ენერგოეფექტურ ნათურებს;
- ვაკონტროლებ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როცა შუქი საჭირო არ არის;
- პროდუქტს/საქონელს არ ვათავსებ ისეთი პარკში, რომელიც ეკოლოგიურად არ გადამუშავდება;
- პლასტმასის ბოთლებს ვათავსებ სპეციალურად გამოყოფილ ურნებში, შემდგომი გადამუშავებისთვის;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის ელექტროენერგიას;
- ავტომობილის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის საწვავს.

- საზოგადოებრივი ტრანსპორტი ნაკლები ინტენსივობით გამოიყენება.

ზოგადად, ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს საქართველოში. რეგიონების, განსაკუთრებით, სოფლების გარკვეული ნაწილისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმიუწვდომელია, ან ხელმისაწვდომია გარკვეული შეზღუდვებით (მაგ.: არა ყოველდღიურად ან/და მთელი დღის განმავლობაში); დედაქალაქში კი უკვე მრავალი წელია, არსებობს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის, არამედ, ზოგადად, ტრანსპორტის სიმრავლის, გადაადგილებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული საკითხების პრობლემა.

ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს

1=min & 5=max საშუალო - 3.32




- ასევე დაბალია მეტ-ნაკლებად შორ დისტანციებზე ფეხით სიარულის მაჩვენებელი.

ეს, ნაწილობრივ, იმით აიხსნება, რომ რეგიონების მკვიდრთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ისედაც ხშირად უხდებათ ფიზიკური დატვირთვა. რაც შეეხება დედაქალაქს, მისი ინფრასტრუქტურა ნაკლებად ან/და შეზღუდულად არის ადაპტირებული მსგავსი ტიპის ქვეყებისთვის, ქუჩებში ფეხით სიარული კი, დაბინძურებული ჰაერის გამო, არც არის რეკომენდებული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის მოსაზრებით.

დავდივარ ფეხით მეტ-ნაკლებად შორ დისტანციებზე

1=min & 5=max საშუალო - 3.31



● ველოსიპედით გადაადგილების მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია.


ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება საქართველოს ბუნებრივი პირობებით, უმეტეს შემთხვევაში, უსწორმასწორო და აღმართიანი გზებით. თუმცა, თანამედროვე პირობებში ამ სირთულის გადალახვა სავსებით შესაძლებელია.

აღნიშნულ გადაწყვეტას განსაკუთრებულად უშლის ხელს ქვეყანაში მეორადი ავტომობილების სიმრავლე. ასეთი ავტომობილი შეიძლება უფრო ნაკლები ღირდეს, ვიდრე ტექნიკურად საქართველოს პირობებისთვის შესაფერისი ველოსიპედი, რომელიც შეასრულებს არა მხოლოდ სამოყვარულო-სასპორტო ინსტრუმენტის, არამედ გადაადგილების საშუალების ფუნქციასაც. მეორე მხრივ, სწორედ ველოსიპედი (როგორც გადაადგილების საშუალება) შეიძლება განვიხილოთ თბილისში სატრანსპორტო პრობლემების (გადაადგილების/საცობების) მოგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან წინაპირობად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ საკითხის შემდგომი კომპლექსური და სიდრმისეული კვლევა, შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით.

გადავაადგილდები ველოსიპედით

1=min & 5=max საშუალო- 1.40




● ბიოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტის — ბიოპროდუქტების ყიდვის მაჩვენებელი აგრარული ქვეყნის მოსახლეობისათვის საკმაოდ დაბალია. ამ შემთხვევაშიც, ძირითადი ფაქტორები განლავთ არა მოსახლეობის ცოდნა ან მის მიერ საკითხის გაცნობიერება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური გარემო: გაჭირვებულ ქვეყანაში ინტენსიურად შემოდის იაფფასიანი და დაბალხარისხიანი პროდუქცია, რომელსაც მაღალხარისხიანი პროდუქტი, მათ შორის, ადგილობრივიც, ხშირად კონკურენციას ვერ უწევს.

ამ საკითხის სიდრმისეული კვლევა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება უადრესად აქტუალურია არა მხოლოდ კლიმატის ცვლილების კუთხით, არამედ ქვეყნის ეკონომიკისა და ჯანდაცვის განვითარებისთვისაც.

ყიდულობ ბიოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტებს (ბიოპროდუქტებს)

1=min & 5=max საშუალო- 3.00




- საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტომობილის შეძენისას ეკონომიურობის კრიტერიუმის გათვალისწინება წარმოდგენილია საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით, მაგრამ არა ისეთი ნიშნულით, რომ საყოველთაოდ გავრცელებულ პრაქტიკად ჩაითვალოს.

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური პრობლემების ფონზე, ეკონომიურობის პრინციპის უგულვებელყოფა ხშირ შემთხვევაში შეიძლება უკავშირდებოდეს შემდეგ ფაქტორს: შეზღუდული ფინანსების პირობებში, ადამიანი მოკლებულია თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას და ყიდულობს იმას, რაზეც ხელი მიუწვდება.


საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის ელექტროენერჯიას

1=min & 5=max საშუალო- 3.65



ავტომობილის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის საწვავს

1=min & 5=max საშუალო- 3.58




● საკვლევი პოპულაცია ენერგოეფექტურობას მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს და შეძლებისდაგვარად ცდილობს ენერგოდანახარჯების რაციონალურ მართვას/კონტროლს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისეთი ზომების გატარების მაღალი მაჩვენებლებიც, რომლებიც უკავშირდება დანახარჯებს (ან მნიშვნელოვან დანახარჯებს). რესპონდენტთა უმრავლესობა აკონტროლებს, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როდესაც შუქი საჭირო არ არის; ასევე, უმრავლესობა სხვადასხვა სიხშირით იყენებს ენერგოეფექტურ ნათურებს.

● ენერგოეფექტური ნათურების გამოყენების მთავარი ტენდენციის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია. ეს მიუთითებს, რომ საქართველოს ბაზრისთვის მსგავსი პროდუქცია მისაღებია და მეტ-ნაკლები წარმატებით მკვიდრდება.


ვაკონტროლებ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როცა შუქი საჭირო არ არის

1=min & 5=max საშუალო- 4.32



ვიყენებ ენერგოეფექტურ ნათურებს

1=min & 5=max საშუალო- 3.43






- საშუალოზე დაბალია შემდგომი გადამუშავებისთვის პლასტმასის ბოთლების სპეციალურად გამოყოფილ ურნებში მოთავსების მაჩვენებელი, რაც, უწინარეს ყოვლისა, ქვეყანაში ასეთი ურნების ნაკლებობით აიხსნება. მათი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მომხმარებლის ქცევაზე სრულფასოვნად დაკვირვების საშუალებას არ იძლევა.

შესაბამისად, პირველ რიგში, რეკომენდებულია ინფრასტრუქტურის ადაპტირება, რათა ნარჩენები შემდგომი გადამუშავებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში/ურნებში დახარისხდეს. თუმცა ფაქტი, რომ ასეთი მცირე ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების პირობებში გამოყენების მაჩვენებელი მინიმალურიდან ერთი ერთეულით არის გადახრილი, მეტყველებს, რომ სოციუმში არსებობს მზაობა შესაბამისი ქცევისთვის.

პლასტმასის ბოთლებს ვათავსებ სპეციალურად გამოყოფილ ურნებში შემდგომი გადამუშავებისთვის

1=min & 5=max საშუალო- 2.00





სოციალური ქცევა
კლიმატის სვლილების მიმართ

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოხსენებული ქცევებიდან ყველას, ერთის გარდა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან:

ქალები უფრო ხშირად იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ყიდულობენ ბიოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტს და აკონტროლებენ, რომ ნათურა საჭიროების გარეშე არ იყოს ჩართული.

კაცები კი უფრო ხშირად დადიან ფეხით მეტ-ნაკლებად შორ დისტანციაზე; გადაადგილდებიან ველოსიპედით; იყენებენ ენერგოეფექტურ ნათურებს; პლასტმასის ბოთლებს ათავსებენ სპეციალურად გამოყოფილ ურნებში, შემდგომი გადამუშავებისთვის; და ავტომობილის შეძენისას ითვალისწინებენ მის ეკონომიურობას, საწვავის მოხმარების კუთხით.

შეიძლება ითქვას, რომ ეს განსხვავება ასხავს სტერეოტიპულ მახასიათებლებს ქალისა და კაცის ყოველდღიურ ცხოვრების წესთან დაკავშირებით.

რამდენად ხშირად იყვევით ყოველდღიურ ცხოვრებაში შემდეგნაირად?

1=min & 5=max



	ქალი	კაცი	ჯამი
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს	3.58	3.01	3.32
დავდივარ ფეხით მეტ-ნაკლებად შორ დისტანციებზე	3.23	3.40	3.31
გადავადგილდები ველოსიპედით	1.17	1.65	1.4
ყიდულობ ბიოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტებს (ბიოპროდუქტებს)	3.05	2.95	3.00
ვიყენებ ენერგოეფექტურ ნათურებს	3.37	3.50	3.43
ვაკონტროლებ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როცა მუქი საჭირო არ არის	4.41	4.21	4.32
პლასტმასის ბოთლებს ვათავსებ სპეციალურად გამოყოფილ ურნებში, შემდგომი გადამუშავებისთვის	1.84	2.18	2.00
ავტომობილის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის საწვავს	3.43	3.74	3.58

რამდენად ხშირად იქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში შემდეგნაირად?

1=min & 5=max

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ქცევას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ასაკთან:

საშუალო	age_gr D2. ასაკი	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	ჯამი
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს		3.74	3.30	3.27	3.21	3.31	3.20	3.32
დავდივარ ფეხით მეტ-ნაკლებად შორ დისტანციებზე		3.77	3.38	3.42	3.41	3.30	2.76	3.31
გადავადგილდები ველოსიპედით		1.90	1.45	1.47	1.24	1.38	1.13	1.40
ვაკონტროლებ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როცა შუქი საჭირო არ არის		3.96	4.21	4.32	4.36	4.48	4.46	4.32
პლასტმასის ბოთლებს ვათავსებ სპეციალურად გამოყოფილ ურნებში, შემდგომი გადამუშავებისთვის		2.10	2.13	2.11	1.90	2.16	1.65	2.00
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის ელექტროენერგიას		3.17	3.81	3.62	3.71	3.72	3.68	3.65
ავტომობილის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის საწვავს		3.49	3.75	3.76	3.54	3.62	3.28	3.58

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ქვევას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს განათლებასთან:

რამდენად ხშირად იქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში შემდგენაირად?

1=min & 5=max

საშუალო	განათლება (მიღწეული უმაღლესი ხარისხი):							
		წერა-კითხვის მცოდნე	დაწყებითი განათლება	ზოგადი საბაზისო განათლება	სრული ზოგადი განათლება	ბაკალავრი	მაგისტრი	დოქტორი
გადავადგილდები ველოსიპედით	–	1.20	1.29	1.37	1.66	1.27	1.58	1.40
ვყიდულობ ბიოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტებს (ბიოპროდუქტებს)	–	2.76	2.91	2.90	3.13	3.13	3.77	3.00
ვიყენებ ენერგოეფექტურ ნათურებს	2.00	4.74	3.50	3.21	3.78	3.47	3.83	3.43
ვაკონტროლებ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როცა შუქი საჭირო არ არის	2.00	3.64	4.06	4.26	4.46	4.47	3.94	4.32
პლასტმასის ბოთლებს ვათავსებ სპეციალურად გამოყოფილ ურნებში, შემდგომი გადამუშავებისთვის	4.00	4.07	2.40	1.98	1.99	1.76	2.22	2.00
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის ელექტროენერგიას	2.00	3.36	3.45	3.53	3.92	3.76	3.69	3.65
ავტომობილის შეძენისას ვითვალისწინებ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის საწვავს	2.00	4.83	2.82	3.42	3.94	3.90	3.88	3.58



5.3.2

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქვეყნის მოტივაცია

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
კლიმატის ცვლილების შესახებ

რატომენობრივი კვლევა

#EU4Climate

სოციალური ქცევა კლიმატის ცვლილების მიმართ

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ყოველდღიური ქცევების უფრო დეტალურად გაანალიზებისთვის, რესპონდენტებს, რომლებსაც არ გაუჭირდათ პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, თითოეულ ქცევასთან მიმართებით სთხოვეს ახსნა, თუ რა მოსაზრებებით/ფაქტორებით იყო მოტივირებული მათი პასუხები. შედეგები გაიზომა ნახევრად ღია კითხვების ბლოკით. სავარაუდო მოტივაციურ ფაქტორებს შორის შეტანილი იყო: „უფრო მოსახერხებელია“, „ვზოგავ ფულს“, „ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე“, „ვზრუნავ გარემოს დაცვაზე“ და „ჩვევად მაქვს“. რესპონდენტებს ჰქონდათ სხვა ფაქტორების დასახელების შესაძლებლობაც.

ძირითადი მოტივაციური ფაქტორები

შემდგენიერად განაწილდა:

რა ძირითადი მიზეზის/მოტივის გამო იყენებთ საზოგადოებრივ ტრანსპორტს?



უფრო მოსახერხებელია	54.2
ვზოგავ ფულს	21.7
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	2.7
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	1.0
ჩვევად მაქვს	2.5
სხვა	16.7
მიჭირს პ/გ	1.2

„სხვა“ პასუხებს შორის, რომელთა ჯამი 16.7%-ს უტოლდება, ძირითადად, წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები:

არ მყავს ავტომობილი	49.8
ასაკი/ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, რომ ფეხით ვიარო	20.9
საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფრო სწრაფად გადაადგილდება	4.2
იშვიათად დავდივარ სადმე	10.4
მიყვარს ფეხით/ველოსიპედით სიარული, ამიტომ არ ვყიდულობ მანქანას	2.3
არ მაქვს დრო	2.2
გამონაკლის შემთხვევაში, როცა ავტომობილი გაფუჭებულია	1.9
არ მაქვს სხვა საშუალება	1.7
სხვა	6.6

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესთან:

	ქალი	კაცი
უფრო მოსახერხებელია	60.3%	46.6%
ვზოგავ ფულს	17.1%	27.5%
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	1.6%	3.9%
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	1.2%	0.8%
ჩვევად მაქვს	2.0%	3.1%
სხვა	16.3%	17.3%
მიჭირს პ/გ	1.4%	0.8%

რა ძირითადი მიზეზის/მოტივის გამო დადინართ ფეხით მეტ-ნაკლებად შორ დისტანციებზე?



5.3.2

უფრო მოსახერხებელია	10.0
ვზოგავ ფულს	6.1
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	70.2
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	0.9
ჩვევად მაქვს	6.6
სხვა	5.8
მიჭირს კ/გ	0.5

„სხვა“ პასუხებს შორის, რომელთა ჯამი 5.8%-ს უტოლდება, ძირითადად, წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები:

ტყეში/ყანაში წასვლისას	10.7
მიყვარს ფეხით სიარული	10.2
როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის	9.0
სოფლის პირობებში მცირე მანძილზე მიხდება გადაადგილება	13.2
როდესაც მცირე მანძილი მაქვს გასავლელი	7.3
არ მყავს ავტომობილი	14.2
მიყვარს ფეხით სიარული	5.9
იშვიათად დავდივარ სადმე	5.8
ჩემთვის მნიშვნელოვანია	4.3
საჭიროების შემთხვევაში	4.0
ვერიდები საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას	3.8
ჩვენს დასახლებაში შიდა გადაადგილებისთვის არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი	11.8

რა ძირითადი მიზეზის/მოტივის გამო გადაადგილებით ველოსიპედით?

უფრო მოსახერხებელია	10.3
ვზოგავ ფულს	2.5
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	64.8
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	4.3
ჩვევად მაქვს	3.0
სხვა	10.4
მიჭირს პ/გ	4.7


	ქალი	კაცი
უფრო მოსახერხებელია	11.9%	10.1%
ვზოგავ ფულს	–	2.9%
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	54.8%	67.6%
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	2.4%	5.0%
ჩვევად მაქვს	2.4%	2.9%
სხვა	11.9%	10.1%
მიჭირს პ/გ	16.7%	1.4%

„სხვა“ პასუხებს შორის, რომელთა ჯამი 10.4%-ს უტოლდება, ძირითადად, წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები:

არ მყავს ავტომობილი	10.6
ფინანსური პრობლემის გამო	5.5
მიყვარს ფეხით/ველოსიპედით სიარული	30.3
უბრალოდ, ვერთობი	20.6
ჯანსაღია	11.5
არ მაქვს დრო, რომ ფეხით ვიარო	7.4
ახლო მანძილზე გადაადგილებისას	2.9
არასოდეს მიფიქრია ამაზე	11.3

ველოსიპედით გადაადგილებას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სქესსა და ასაკთან:

	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
18-24	16.3%	9.3%	12.8%	4.5%	13.0%	–
25-34	–	2.3%	5.1%	–	4.3%	–
35-44	67.4%	65.1%	56.4%	72.7%	65.2%	64.3%
45-54	–	2.3%	–	13.6%	13.0%	7.1%
55-64	2.3%	–	10.3%	–	–	–
65 +	14.0%	18.6%	10.3%	–	4.3%	–
სხვა	–	2.3%	5.1%	9.1%	–	28.6%



რა ძირითადი მიზეზის/მოტივის გამო იყენებთ ენერგოეფექტურ ნათურებს?



უფრო მოსახერხებელია	0.9
ვზოგავ ფულს	89.5
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	1.7
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	3.3
ჩვევად მაქვს	1.0
სხვა	1.7
მიჭირს პ/გ	1.9

შენიშვნა: „სხვა“ პასუხების სიხშირე უკიდურესად მცირეა (1.7%)

ენერგოეფექტური ნათურების გამოყენებას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ასაკთან:

18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
1.8%	0.7%	0.7%	1.2%	1.4%	0.6%
74.3%	91.5%	89.5%	91.3%	91.0%	94.0%
2.8%	0.7%	2.0%	3.1%	2.1%	0.6%
10.1%	3.3%	3.3%	1.9%	2.8%	1.2%
0.9%	2.6%	-	-	1.4%	0.6%
5.5%	0.7%	2.6%	.6%	0.7%	1.2%
4.6%	0.7%	2.0%	1.9%	0.7%	1.8%

რა ძირითადი მიზეზის/მოტივის გამო აკონტროლებთ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როცა შუქი საჭირო არ არის?

უფრო მოსახერხებელია	0.2
ვზოგავ ფულს	81.9
ვზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე	1.2
ვზრუნავ გარემოს დაცვაზე	3.1
ჩვევად მაქვს	11.2
სხვა	0.7
მიჭირს პ/გ	1.7

შენიშვნა: „სხვა“ პასუხების სიხშირე უკიდურესად მცირეა (0.7%)

რა ძირითადი მიზეზის/მოტივის გამო ითვალისწინებთ საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს ის ელექტროენერგიას?




